ახალგაზრდა კომუნისტი

სამშაბათი,
13 თებერვალი,
1990 წ.
№ 18 (11504)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი
გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს

ფასი 3 კა

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (შესასვლელი გ. ლეონიძის ქუჩიდან) ტელეფონები: ინფორმაციისათვის — 93-97-31, წერილების განყოფილება — 93-38-52, სამდივნო — 93-31-56

დაე, ბავშვებმა გადაწყვიტონ...

მკითხველს, ალბათ, ახსოვს ტელევიზიითა და პრესით გამართული დისკუსიები პიონერული ორგანიზაციის ავ-კარგის, ბავშვთა ახალი ორგანიზაციების შექმნის თაობაზე. ამ შეხვედრის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ დროა პიონერული საქმიანობიდან განიდევნოს ფორმალობა, კარიერიზმი, მკაცრი ცენტრალიზაცია, სამაგიეროდ კი უნდა დამკვიდრდეს ბავშვის პიროვნების თავისუფლება, ჰუმანიზმი, ქველმოქმედება, დემოკრატიული პრინციპები, რა გზით უნდა მივაღწიოთ ამას? ამ საკითხებზე ვთხოვეთ საკუთარი აზრი გამოეთქვა **საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს გულნაზი ხთრგალაძეს.**

— ქალბატონო გულიკო, დღეს ყველასათვის კარგად ცნობილია, თუ როგორ სჭირდება ჩვენს ბავშვებს და უფროსებსაც ჰუმანური, დემოკრატიული პედაგოგიკა. პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია აღზრდაში ყოველგვარი შიშისა და ძალმომრეობის უგულველყოფა. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ყოველთვის ასე არ ხდება... ერთის მხრივ, საუბარია პლურალიზმსა და დემოკრატიაზე, ყოველგვარი იდეოლოგიისაგან სკოლის განთავისუფლებაზე და მეორეს მხრივ, ადგილი აქვს საპირისპირო მოქმედებას... მოზარდისათვის ასეთ სიტუაციაში სრულიად გაუგებარია როგორ მოიქცეს, ვის შეუსაბამოს თავისი გადაწყვეტილებები...

—სამწუხაროდ, იქამდე მივედით, რომ სწავლა მოზარდის მთავარი საქმე და მოვალეობაა, — ფუჭ სიტყვებად გვექცა. თვალს ველარ დავხუჭავთ იმაზე, რომ სხვადასხვაგვარი აქციის მონაწილეთა დიდ ნაწილს უმცროსკლასელები შეადგენენ, რომლებიც ხშირად სხვისი წამხედურობით არიან სკოლებიდან წამოსულები. რადიკალურად განწყობილი პიროვნებების სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა სტუმრობას სკოლაში, უფრო მეტად სასწავლო პროცესების დროს, დასასრული არ უჩანს.

ამას წინათ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფმა მიტინგი გამართა. მიტინგზე მოსული პედაგოგთა ერთი ნაწილი (ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან) გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბავშვების გამოყვანა მოხდა გაკვეთილებიდან.

აღზრდაში აუწონავ-დაუწონავი მოქმედება, უკიდურესი ლოზუნგები, ძალდატანება კი ნამდვილად ვერ ათავისუფლებს ბავშვის პიროვნებას იძულებისა და შიშის განცდებისაგან. მოსწავლე ახალგაზრდობაში დაწყებულ მოძრაობას სკოლებში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების გაუქმების კატეგორიული მოთხოვნით თან მოჰყვა მეტად არასასურველი ტენდენცია — ბავშვების შემეცნებაში ჩამოყალიბდა — „მოღალატის" „მტრის" მცნების თავისებური გაგება. ძალიან ბევრ სკოლებში მოღალატეებად შერაცხეს და ტოლ-ამხანაგებისაგან გამოყვეს ისინი, რომლებმაც გადაწყვიტეს კომკავშირში დარჩენა. აგრეთვე ისინიც, რომელმაც მოისურვეს ამ ორგანიზაციაში შესვლა. განა ლოგიკურია ეროვნული გრძნობისაგან დაცლილად გამოაცხადო განურჩევლად ყველა, ვინც კომკავშირის წევრია ანდა კომკავშირში მუშაობს? ცხოვრება გვიჩვენებს, რომ პატიოსანნი და უზნეონი, პრინციპულნი და მლიქვნელნი, სამართლიანები და ორპირნი, საქმიანნი და მოლაყბენი სამწუხაროდ, ყველა ორგანიზაციაში არიან.

აღზრდაში იძულებებისა და დაწოლის ნებისმიერი მეთოდი პიროვნებაში ახშობს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას და ადრე თუ გვიან განწირულია მარცხისათვის.

— ვფიქრობთ, სკოლის პოლიტიზაციისაგან განთავისუფლება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც არსებითად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაჯანსაღებას. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიქმნას ბავშვთა ორგანიზაციები, რომელიც მოზარდებს ინტერესებისა და მიდრეკილების მიხედვით გააერთიანებს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ესტონეთში 11 სხვადასხვა მიმართულების ბავშვთა ორგანზაციაა. გასული წლის მიწურულს ჩატარდა პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, მას წინ უძღოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თქვენს მიერ ერთობლივად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოკვლევის მონაწილე ბავშვთა 17 პროცენტს მიაჩნია, რომ პიონერული ორგანიზაცია უნდა დარჩეს იმ სახის, როგორიც არსებობდა, 42,7 პროცენტის აზრით, უნდა შეიცვალოს ორგანიზაციის სახელწოდება, სტრუქტურა, შინაარსი, მის პარალელურად უნდა არსებობდეს ორგანიზაციები მოზარდთა ინტერესების მიხედვით — ასე ფიქრობს გამოკითხულთა 25 პროცენტი. გთხოვთ, გვითხრათ თქვენი მოსაზრება...

— ამ პლენუმის ჩატარება სწორედ პიონერული ორგანიზაციის გარდაქმნის აუცილებლობით იყო გამოწვეული. უფრო მეტად კი იმით, რომ მიმდინარეობს პიონერული ორგანიზაციების გარდაქმნის პროცესი, რომელიც საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. უმრავლეს შემთხვევაში მას წინ გადაეღობა დიქტატი ე. წ. თავზე მოხვევის პოლიტიკა. ბავშვებს აძალებდნენ მოეხსნათ პიონერული ყელსახვევები, მეორე შემთხვევაში, ედავებოდნენ ყელსახვევები რატომ არ გიკეთიათო.

პლენუმის მოწვევა განაპირობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის „მოზარდი თაობა და პიონერული ორგანიზაცია" შედეგებმაც.

გამოკვლევამ რეალური სიტუაცია გადაგვიშალა. დავვარწმუნა იმაში, რომ ზემოდან შემოთავაზებული ნებისმიერი სახის ორგანიზაცია, წინდაწინ მოფიქრებული სტრუქტურითა და შინაარსით აუცილებლად ადრე თუ გვიან ჩიხში მოექცევა. ამის დასტურად გამოგვადგება ბავშვების უარყოფითი დამოკიდებულება პიონერული ორგანიზაციის მიმართ. რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს არ სჭირდებათ არანაირი ფორმით გაერთიანება. გამოკვლევამ ნათელყო, რომ 14-15 წლის ასაკში დიდია ბავშვების გატაცება ხელოვნებით, სპორტით. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ბავშვებს სჭირდებათ არა ზემოდან წამოსული, არამედ მათი რეალური ინტერესებიდან გამომდინარე ორგანიზაცია.

— იქნებ გვითხრათ უფრო კონკრეტულად. როგორ უნდა მოხ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ეკოლოგიის პრობლემებს ეხება ვახტანგ კურცხალიას მასალა

მე-3 გვ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს სარგის ცაიშვილს 60 წელი შეუსრულდა.

მე-4 გვ.

რუბრიკით „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" იბეჭდება საინტერესო მასალა ქართული ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხზე.

მე 6-გვ.

რწმენა და სიყვარული

სულ ცოტა ხნის წინათ ასეთი რამ წარმოუდგენელი გვეგონა. დღეს კი ასეთი ამაღელვებელი მოვლენაა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის პირველი ექსპერიმენტული სკოლის პირველი მესამე კლასის მოსწავლეთა ცხოვრებაში.

არსებობს კეთილი ტრადიცია — ახალი წლის დასაწყისში აჯამებენ გასული წლის შედეგებს, სახავენ მომავლის გეგმებს. სწორედ მას მიეძღვნა „33 ოქროს გასაღების" — ქართული დამწერლობის, ქართული ანბანის დღესასწაული. ბევრი გამოგონება და ფანტაზია ჩააქსოვეს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას კლასის ხელმძღვანელმა ზივანი ინწკირველმა, მუსიკალურმა გამფორმებელმა ნატო ბერიძემ.

ქართული ხალხური ზღაპრების, საყვარელი საბავშვო ნაწარმოებების ინსცენირებებმა, კოსტუმირებულმა წარმოდგენამ — ყოველივე ამან დღესასწაულს მიანიჭა არაჩვეულებრივი ამაღლებული განწყობილება და მაჟორული ტონალობა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. — ხუმრობა საქმე როდია, ბავშვთა დღესასწაულში მონაწილეობდა მამაო როსტომი, რომელმაც დალოცა ქართული ანბანი, ბავშვები, უსურვა მათ ყოფილიყვნენ თავიანთი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები.

მართლაც კარგი დღესასწაული გამოვიდა. ხოლო თუ კი ვეცდებით მისი ზნეობრივი მხარის შეფასებას, შეგვიძლია გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ ეს მოვლენა გასცდა სასკოლო დღესასწაულის ფარგლებს, გახდა არა მარტო შთამბეჭდავი და საინტერესო, არამედ სასარგებლო, მნიშვნელოვანი აქტი პატარა მოქალაქეებისათვის — ჩვენი მომავლის, ჩვენი ხვალინდელი დღისათვის.

ბოლო დროს, წინათ მკაცრად აკრძალული საეკლესიო ღვთისმსახურება სულ უფრო დამაჯერებლად იკაფავს გზას ადამიანებისაკენ. სულიერი საზრდო და რწმენა ბადებს სიკეთის, სამართლიანობის, გულმოწყალების გრძნობას. სწორედ ამით ხელმძღვანელობდნენ დღესასწაულის ორგანიზატორები, მომწყობები, რომლებმაც სკოლაში მიიწვიეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, რომელმაც ბავშვები სულიერი ამაღლების თანამონაწილენი გახადა.

... საკურთხეველზე პირველკლასელებმა სანთლები დაანთეს, სანთლების კაშკაშა ალი გახდა იმ წმინდა და ნათელი გზის სიმბოლო, რომლითაც უნდა განვლონ ბავშვებმა ცხოვრების გზა.

სურათებზე: მამაო როსტომი ლოცავს ქართულ ანბანს. სანთლები დაანთეს საკურთხეველზე.

მიხეილ კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაე, ბავშვებმა გადაწყვიტონ...

(დასასრული)

დღეს გარდაქმნა პიონერულ ორგანიზაციაში, როგორი უნდა იყოს სრულიად საქართველოს ბავშვთა ორგანიზაცია.

— ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ბავშვთა მოძრაობამ შეიძინა მრავალფეროვნების ნიშნები. სასწავლო წლის ბოლომდე გაგრძელდება დაწყებული ძიების პროცესი, შეიქმნა რეგიონალური მუშა-ჯგუფები, რომლებიც დააკვირდებიან ექსპერიმენტის მიმდინარეობას, განაზოგადებენ გამოცდილებას, შემუშავდება ბავშვთა ორგანიზაციის ეროვნული სიმბოლიკა, მანამდე კი ყელსახვევის ტარება პირად სურვილზეა დამოკიდებული. ბავშვთა ორგანიზაციას ჩამოსცილდება პოლიტიკური სტატუსი, ხოლო მისი ფორმისა და შინაარსის შესახებ საბოლოო დასკვნები გაკეთდება პიონერთა და ბავშვთა რესპუბლიკურ შეკრებებზე. ეს იქნება განსაკუთრებული, სხვებისაგან გამორჩეული შეკრება, რომელსაც ბავშვები თავად მოამზადებენ, თავად განსაზღვრავენ წარმომადგენლობასაც და პროგრამასაც.

— რედაქციაში შემოდის წერილები, რომლებშიც ბავშვები გვწერენ, რომ ზოგიერთ სკოლაში უკვე იქმნება ბავშვთა ახალი ორგანიზაციები... თქვენ რას გვეტყვით მათზე?

— საბედნიეროდ, საქართველოს ბევრ რეგიონში უკვე დაიწყო ძველი დოგმების მსხვრევა, რწმენას გვისახავს წმინდა ეროვნული სახელწოდების მატარებელი ისეთი ორგანიზაციების არსებობა, როგორიცაა: „ფარნავაზელთა ლაშქარი“, უხუცესთა დარბაზითა და ოცისთავებით (სამგორის მე-2 სკოლა), „ცხრაკარა“ (გორი), „ერის ბალავარი“ (თელავის № 4 სკოლა, „თორელთა ეკოლოგიური კავშირი“ (ბორჯომი), „ახალგაზრდა პატრიოტთა კავშირი“ (საგარეჯო), „თელავური სადროშოები“ (თელავი), „დიდგორი“ (მცხეთა).

სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს სასიქადულო მამულიშვილთა სახელის წოდების მინიჭება ამა თუ იმ გაერთიანებისათვის, მაგალითად დავით აღმაშენებლის სახელობის ბავშვთა გაერთიანება (თელავი), დავით აღმაშენებლის სახელობის ბავშვა ორგანიზაცია „ზედაზენი“ (მცხეთა, საგურამოს საშუალო სკოლა). ვნახოთ, თუ როგორ გაამართლებენ ისინი თავიანთ საინტერესო ჩანაფიქრებს. ერთი რამ კი ნათელია:

ბავშვების აღზრდა მათ ბუნებრივ და ლაღ განვითარებას გულისხმობს. ეს თანაბრად გვავალდებულებს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას მოვნახოთ ბავშვებთან მიმართებაში შეთანხმებული პოზიცია, მივაღწიოთ იმას, რომ სკოლა ცოდნისა და მაღალი ზნეობის ტაძარი იყოს და არა სარბიელი პოლიტიკური საქმიანობისათვის. უნდა გამოინახოს ერთიანი პოზიცია, სჯობს ბეწვის ხიდზე ჩვენ, უფროსებმა გავიაროთ.

ესაუბრა
მარინე ბიბინეიშვილი

მოსწავლეთა კონფერენცია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სასკოლო პრობლემათა კომიტეტის ინიციატივით ორი დღის მანძილზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმდინარეობდა მოსწავლეთა პირველი საქალაქო კონფერენცია. მასში, ასზე მეტი სკოლის წარმომადგენლეთა გარდა, მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს მუშაკები, ახალგაზრდა პედაგოგთა ასოციაციის, დემოკრატ-პედაგოგთა კავშირის წევრები.

დღეს ყველას კარგად ესმის, რომ ჩვენს სკოლაში ბევრი მწვავე პრობლემა დაგროვდა, საზოგადოებაში მიმდინარე რთული, მტკივნეული პროცესები ხომ როგორც სარკეში სწორედ აქ აისახება. ამიტომ კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მუშაობის დღის წესრიგი სწორედ ამ პრობლემების გათვალისწინებით: სკოლის დეიდეოლოგიზაცია და დეპოლიტიზაცია. მოსწავლეთა შორის დამნაშავეობის თავიდან აცილების გზების ძიება, ერთიანი სასკოლო ორგანიზაციის შექმნა...

კონფერენციის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში არ უნდა არსებობდეს არავითარი პოლიტიკური ორგანიზაცია. ბოლოს და ბოლოს სკოლამ უნდა გაამართლოს თავისი მთავარი დანიშნულება — აღაზრდოს ისეთი მოქალაქე, რომელიც სარგებლობას მოუტანს სუვერენულ, დამოუკიდებელ საქართველოს. ამასთან დაკავშირებით კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მისამართით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასწრაფოდ უნდა მოიწვიონ რიგგარეშე ყრილობა.

კონფერენციის მუშაობის შესახებ აზრი გაგვიზიარა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სასკოლო პრობლემათა კომიტეტის ხელმძღვანელმა გია ანდღულაძემ:

— კონფერენციის მომზადების დროს არავითარი წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. პირიქით, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ მოიწონა ჩვენი თხოვნა და დაგვითმო ასეთი შესანიშნავი შენობა.

მომავალში, ვფიქრობთ, მოვაწყოთ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენცია, შემდეგ კი ამავე პრინციპით, რესპუბლიკური კონფერენციაც. რაც შეეხება ამ კონფერენციას, მან გაამართლა დასახული მიზანი. ჩვენ მოვისმინეთ მოსწავლეთა აზრი განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ. მათგან ბევრი საჩივარი შემოვიდა, რომლებიც შესაბამისად გადავეცით სახალხო განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების საქალაქო სამმართველოს, პედაგოგიურ საზოგადოებას, ხოლო ამ საჩივრების გარკვეული ნაწილის გადაწყვეტა ჩვენ ვიკისრეთ.

— კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობისადმი. დღეს შეინიშნება ბევრი სასკოლო ორგანიზაციის შექმნის ტენდენცია. იმისათვის, რომ ამან არ გამოიწვიოს გარკვეული დაქსაქსულობა მოსწავლეთა შორის, ჩვენ მოვუწოდებთ მათ შექმნან ერთიანი არაპოლიტიკური სასკოლო ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა უფლებებს.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს კიდევ ერთი, ამომწურავი ინფორმაცია ამ საკითხზე, რომ ხშირად ამა თუ იმ მიზეზით ირღვევა სასწავლო პროცესი. მე უფლებამოსილი ვარ მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ილია მართლის საზოგადოება, ჰელსინკის კავშირი და მონარქიული პარტია კიცხავენ გაფიცვებს სკოლაში და მოსწავლე-ახალგაზრდობის მოწყვეტას სწავლისაგან. ამიტომ ვთხოვთ ყველა სკოლას, სადაც ჩვენი სახელით მივლენ და მოითხოვენ სასწავლო პროცესის დარღვევას, ყოველთვის შეამოწმონ მათი პირადობის მოწმობა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, საქართველოს სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების წარმომადგენლები.

მარიკა მათიაშვილი
საქინფორმი

პროექტი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდება

24-25 თებერვალს თბილისში მოწვეულია საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა. საორგანიზაციო კომიტეტმა რედაქციას სთხოვა პარტიის წესდების პროექტის გამოქვეყნება, რათა თქვენ, პატივცემულო მკითხველებო, მიაწოდოთ მას თქვენი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები. ორგკომიტეტის მისამართია: თბილისი, ჩიტაძის ქუჩა № 6, ოთახი 219, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. ტელეფონი: 93-79-21.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია არის ხალხის პარლამენტური ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებში. იგი იღვწის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების დამკვიდრებისათვის, გამოხატავს და იცავს მშრომელი ადამიანების სასიცოცხლო ინტერესებს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მიისწრაფის სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კონსტრუქციული ბჭობის გზით მიიმხროს ამომრჩევლების უმრავლესობა და გადაიბაროს საქართველოს მართვის პასუხისმგებლობა. იგი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შემადგენელ ნაწილს. თავის საქმიანობაში იგი ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის პროგრამას და წესდებას, მატერიალურად ეხმარება პარტიას და იღვწის მისთვის სასურველი ფორმით პარტიის ამოცანების განხორციელებისათვის. პარტიის კარი ღიაა როგორც ათეისტების, ისე მორწმუნეებისათვის.

2. ის პირები, რომლებიც აღიარებენ პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით არ აქვთ შესაძლებლობა შევიდნენ მის რიგებში, შეადგენენ პარტიის თანამგრძნობებს. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პარტიის ღონისძიებებში სათათბირო ხმით.

3. პარტიის წევრად მიღება ხდება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ, პარტიიდან გასვლა თავისუფალია. პარტიაში მიღება და მისი რიგებიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. პარტიის ღირსების შემლახავი ქმედებისათვის პარტიის წევრი ირიცხება პარტიიდან იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრების მიერ, სადაც ის არის რეგისტრირებული.

4. პარტიის ახალი წევრები იხდიან შემოსასვლელ შესატანს. პარტია იღებს შემოწირულობებს მისი წევრებისა და თანამგრძნობებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან.

5. ყოველი წლის დასაწყისში წარმოებს პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. დაწესებულია სარეგისტრაციო შესატანი.

6. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს ან არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ) წარუდგინოს წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები პარტიის ნებისმიერ ორგანოს;

გ) წამოაყენოს ან წამოყენებულ იქნას სახალხო დეპუტატობის კანდიდატად.

7. პირველადი პარტიული ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიული ნიშნით — მოქალაქეთა საცხოვრებელი უბნების მიხედვით, თუ იქ პარტიის სამი წევრი მაინც ცხოვრობს.

8. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ერთიანდებიან რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებად.

9. პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი მოვალეობაა ეროვნულ მოძრაობაში ქმედითი მონაწილეობა, მშრომელი ადამიანების ინტერესების დაცვა, დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებისა და პარტიის საარჩევნო პლატფორმის პროპაგანდა, სახალხო დეპუტატობის კანდიდატების შერჩევა-წამოყენება და მხარდაჭერა.

10. ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია პარტიის პროგრამისა და წესდების ჩარჩოებში. თითოეულ მათგანს უფლება აქვს თავისი სახელით გამოსცეს პარტიული ლიტერატურა. პარტიის ზემდგომი ორგანოების პრინციპული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები ქვემდგომი ორგანოების შეხედულებების წინასწარ გამოკითხვას ეყრდნობა.

11. პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კრება, რომელიც მოიწვევა სამ თვეში ერთხელ მაინც. მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად პარტიული კრება ირჩევს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს და მისი შემადგენლობიდან ორგანიზაციის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. სადაც ოცზე ნაკლები პარტიის წევრია, ირჩევენ მხოლოდ თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

12. რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა პარტიული კონფერენცია, რომელიც მოიწვევა არა უგვიანეს ექვსი თვისა სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა რეგიონალური კომიტეტის ინიციატივით ან რეგიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეოთხედის მოთხოვნით. კონფერენცია ირჩევს პარტიული ორგანიზაციის რეგიონულ კომიტეტს და მისი შემადგენლობიდან ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, პასუხისმგებელ მდივანს, ამტკიცებს ადგილობრივი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატების სიას.

13. საზღვარგარეთ მოთქმედებს პარტიის საზღვარგარეთის ბიურო, რომელსაც ამტკიცებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ბიურო კოორდინაციას უწევს უცხოეთში მცხოვრები ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმიანობას. პარტიის საზღვარგარეთის ბიურო გამოსცემს პარტიულ ლიტერატურას, შემოსული სახსრების 10 პროცენტს იგი ურიცხავს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

14. პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც მოიწვევა არაუგვიანეს ხუთი თვისა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ან პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეოთხედის მოთხოვნით. ყრილობა ირჩევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედაქტორს და სარევიზიო კომისიას. ყრილობა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და პარტის პასუხისმგებელ მდივანს.

ყრილობა ისმენს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშს, გადასინჯავს, ცვლის და იღებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკურ კურსს და საარჩევნო პლატფორმას, ამტკიცებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატების სიას.

15. პარტიის უმაღლესი ორგანო მის ყრილობებს შუა პერიოდში არის ცენტრალური კომიტეტი. იგი ხელმძღვანელობს პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას, აწყობს და წარმართავს საარჩევნო კამპანიებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობისათვის, რედაქტორის წარდგინებით ამტკიცებს ცენტრალური ორგანოს სარედაქციო კოლეგიის წევრებს, ანაწილებს პარტიული ბიუჯეტის სახსრებს.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია სხვა პარტიებთან ურთიერთობაში.

16. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ფუნქციონირებს საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარტიული მუშაობის ქმედითობის ამაღლებისათვის.

17. სარევიზიო კომისია ამოწმებს შემოსული ფულადი სახსრების აღრიცხვის, პარტიული ბიუჯეტის გადანაწილებისა და შესრულების სისწორეს.

18. პარტიული კრება, პარტიული კონფერენცია და პარტიის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის წევრთა ნახევარი მაინც. ყველა პარტიული ორგანიზაცია და არჩევითი პარტიული ორგანო საკითხებს წყვეტს ხმების უმრავლესობით (ფარული ან ღია კენჭისყრით). უმცირესობა იტოვებს უფლებას დაიცვას თავისი პოზიცია, უშუალოდ მიმართოს პარტიულ მასას, გაფორმდეს ფრაქციად ან ორგანიზაციულად გამოეყოს პარტიას.

19. პირველადი პარტიული ორგანიზაცია საკუთარი მოხმარებისათვის იტოვებს შემოსული ფულადი სახსრების 50 პროცენტს, 30 პროცენტს ურიცხავს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს. 20 პროცენტს კი — პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

20. სახალხო დეპუტატების საბჭოების სესიებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებსა და სხდომებზე, სადაც არის პარტიის სამი წევრი მაინც, იქმნება პარტიული ჯგუფი, რომლის ამოცანაა პარტიის გავლენის გაზრდა და მისი პოლიტიკის გატარება. პარტიული ჯგუფი თავის მუშაობას წარმართავს შესაბამისი პარტიული ორგანოს რეკომენდაციების საფუძველზე.

21. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს პარტიული რეფერენდუმი, რომელმაც უნდა მოიცვას პარტიის წევრთა ორი მესამედი მაინც.

ეკოლოგია, პრობლემები, პერსპექტივები

კარგა ხანია პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა XIII ხუთწლედისა და 2005 წლამდე პერიოდის საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებების პროექტი (იხ. „კომუნისტი“, 11. 10. 1988). დაკვირვებულ მკითხველს, მოეხსენება, პროექტის ირგვლივ გაიმართა ცხარე კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გამოითქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა, სურვილი და წინადადება. მოსალოდნელი იყო ჩვენი რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტი ყოველივე ამას გააანალიზებდა, შეაჯამებდა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობას გააცნობდა თავის შეხედულებას (თვალსაზრისს), მაგრამ ასე არ მოხდა.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებით (იხ. „კომუნისტი“. 5. 12. 1989) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ და საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 1990 წლის საგაზაფხულო სესიას წარუდგინონ სსრ კავშირის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების XIII ხუთწლედისა და 2005 წლამდე პერიოდის გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის პროექტი.

ზემოთაღნიშნული სქემის პროექტის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, რომელსაც რედაქცია უძღვნის წერილების სერიას.

ამჯერად გთავაზობთ XIII ხუთწლედისა და 2005 წლამდე პერიოდის საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემის პროექტის ეკოლოგიური მონაკვეთის ერთ-ერთი ავტორის ვახტანგ კურცხალიას პირველ წერილს.

საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კრიზისს გლობალური ხასიათი აქვს. სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ამ კრიზისმა თავის კულმინაციას სწორედ დემოკრატიის, საჯაროობისა და გარდაქმნის საწყის სტადიაზე მიაღწია. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: საზოგადოებაში მიმდინარე ზემოაღნიშნული პროცესები ქვეყნის, განსაკუთრებით კი ჩვენი რესპუბლიკის მთავრობისათვის, უმართავი შეიქმნა და მან თავისი ტრაგიკული შედეგები გამოიღო...

მთელი 1989 წლის განმავლობაში, პოლიტიკური მიტინგების მონაწილენი, ერის სხვა საჭირბოროტო პრობლემებთან ერთად, სავსებით სწორად და კანონზომიერად მოითხოვდნენ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას...

და ჩვენც, უწინარესად, რესპუბლიკის ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგადად შევეხებით თვით სქემის ეკოლოგიური ნაწილის პროექტს.

●

საპროგნოზო პერიოდში (1991-2005 წლებში) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული ტემპი და ბუნებათსარგებლობის მზარდი მასშტაბი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებს ჩვენს რესპუბლიკაში პირველხარისხოვანი პრობლემის რანგში აყენებს. ამ პრობლემას კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს მატებს საქართველოს ბუნებრივი და რეკრეაციული რესურსების უნიკალურობა.

უკანასკნელი წლების პრაქტიკამ მრავალგზის დაგვარწმუნა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის მართვასა და დაგეგმვაში, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი სახალხო სამეურნეო ობიექტების, მათ შორის ბუნებადაცვითი ობიექტების დაგეგმვაში, პროექტირებასა და მშენებლობაში ჩვენთან დაშვებული იყო არსებითი ხასიათის შეცდომები. სამწუხაროდ, ბუნებადაცვითი ობიექტების დაგეგმვასა და პროექტირებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, არც თუ ისე იშვიათად, ამჟამადაც ვიჩენთ ეკოლოგიურ სიბეცეს. აღნიშნულის ნიმუშად, შორს რომ არ წავიდეთ, გამოდგება რესპუბლიკაში არსებული გაბინძურებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების დიდი უმრავლესობა, რომელთა ერთი ნაწილის ეფექტიანობა ერთობ დაბალია (პროექტირებასა და მშენებლობაში დაშვებული ხარვეზების, აგრეთვე ცუდი, არაკვალიფიციური ექსპლოატაციის გამო), ხოლო მეორე ნაწილი — საერთოდ არ მუშაობს. არ მუშაობს უმეტესად იმ „უბრალო მიზეზით“, რომ მშენებლობა კოლექტორებისა, რომლებითაც ეს გაბინძურებული წყლები უნდა მივიყვანოთ გამწმენდ ნაგებობებამდე, საგრძნობლად (ხშირად რამდენიმე წლით) ჩამორჩება (სხვათა შორის, გეგმით), ამ ნაგებობების მშენებლობას. იგივე შეიძლება ითქვას ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, უწინარესად, სვანეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში, მომხდარ სტიქიურ უბედურებებზე, ამ უბედურებებით გამოწვეულ მძიმე შედეგებზე, რასაც მნიშვნელოვანწილად „ბუნების საქმეებში“ თვით ადამიანის უხეშად ჩარევამაც შეუწყო ხელი.

ამთავითვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს სსრ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში (ისე როგორც მსოფლიოს ყველა ინდუსტრიული ქვეყნისა და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში) საკმაო ხანია, რაც აშკარად იგრძნობა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს გაბინძურება. ბევრ შემთხვევაში ამ გაბინძურების დონე საგრძნობლად აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ სანიტარულ ნორმას.

დღეს ისიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი, რომ რესპუბლიკის ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყისა და წიაღისეული რესურსების, აგრეთვე, ბუნების სხვა შემადგენელი კომპონენტების დაცვისა და ყაირათიანი გამოყენების საქმეში ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ ამ პრობლემის მოგვარებას მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ უაღრესად დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

აქვე საჭიროა ითქვას, რომ XVIII ხუთწლედისა და 2005 წლამდე პერიოდის საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემის ეკოლოგიური ნაწილის პროექტი შედგენილია სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების, შემდგომი პლენუმების, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების XII ხუთწლიანი გეგმის მოსალოდნელი შესრულების საფუძველზე, აგრეთვე ზემდგომი დირექტიული ორგანოების დადგენილებებისა და სხვა ნორმატიული აქტების გათვალისწინებით და მოიცავს ბუნების დაცვის ყველა ძირითად შემადგენელ ნაწილსა და ასპექტს.

ამასთან, აუცილებელია ხაზი გაესვას იმასაც, რომ საპროგნოზო პერიოდში, საქართველოს სსრ ეკონომიკური პოტენციალის გაორმაგების პირობებში, რესპუბლიკის ეკოლოგიური პოლიტიკის მთავარი ამოცანა — გარემოს ძირითადი შემადგენელი კომპონენტების გაბინძურების მკვეთრი შემცირება და სანიტარულ ნორმამდე დაყვანა — უნდა გადაწყდეს ბუნებრივი რესურსების ყაირათიანი და კომპლექსური გამოყენების, მათი დაზოგვისა და რაციონალური კვლავწარმოების, წარმოებაში მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიური დანერგვის, გაბინძურებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარებისა და აირგამწმენდი, გაზისა და მტვრის დამჭერი მოწყობილობების მუშაობის ეფექტიანობის განუხრელი ამაღლების, ბუნებათსარგებლობის სამეურნეო მექანიზმის ყოველმხრივი სრულყოფის საფუძველზე.

ჰაერის დაცვა

საქართველოს სსრ მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, მავნე ინგრედიენტების კონცენტრაცია საჰაერო აუზში საგრძნობლად აღემატება სანიტარულად დასაშვებ ზღვრულ ნორმას. რესპუბლიკის ატმოსფეროს ძირითადი გამბინძურებელია საავტომობილო ტრანსპორტის, მრეწველობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგები.

რესპუბლიკის საჰაერო აუზს ყველაზე უფრო მეტად აბინძურებს საავტომობილო ტრანსპორტი. ცხადია, ამ გაბინძურების მასშტაბები გაცილებით მეტია ქალაქებში. მარტო თბილისში ატმოსფეროს გაბინძურების 80 პროცენტზე მეტი საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის.

ამჟამად საქართველოს სსრ ატმოსფეროს დიდ ზიანს აყენებს 600-მდე სამრეწველო საწარმო.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის არსებული 12 600-ზე მეტი წყაროდან დაახლოებით ერთი მესამედია აღჭურვილი აირგამწმენდი, გაზისა და მტვრის დამჭერი მოწყობილობებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (60 პროცენტზე მეტი) ან გაუმართავია, ან მუშაობს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით, არაეფექტიანად. მხოლოდ ქალაქ თბილისის საჰაერო აუზში გაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევა 4,7-ჯერ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმას.

ამიტომ, 1991-2005 წლების სქემის პროექტის ეკოლოგიურ ნაწილში გამოიყოფა ატმოსფერული ჰაერის დაცვის ორი პრიორიტეტული მიმართულება: 1. საავტომობილო ტრანსპორტის მიერ მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის შემცირება და 2. ატმოსფეროდამცავი საქმიანობის გაუმჯობესება, უწინარესად, საკავშირო დაქვემდებარების დარგების — შავი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ნავთობქიმიური, სასუქების, საავტომობილო და სასოფლო მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში, აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგის — სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ობიექტებზე.

ამასთან, ატმოსფეროს დამცავი ღონისძიებები, განხორციელდება, უწინარესად, ყველაზე უფრო მეტად გაბინძურებულ ქალაქებში — რუსთავში, ზესტაფონში, კასპში, ტყვარჩელში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

ავტოტრანსპორტით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის ქალაქებში დასახულია ტრანსპორტის მოძრაობის სქემის რეორგანიზაცია, მათი გამტარუნარიანობის ამაღლება, უტრანსპორტო ზონების შექმნა, მაგისტრალების გამწვანება, ელექტროტრანსპორტის გამოყენების გაფართოება, საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა, მიწისქვეშა გადასასვლელების, ავტომობილების სადგომებისა და გარაჟების მშენებლობა. სატრანზიტო ავტომანქანებით ქალაქების განტვირთვის მიზნით გაგრძელდება ქალაქების შემოვლითი გზების მშენებლობა. გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლის გამკაცრება სარეალიზაციო სათბობის ხარისხზე, ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაზზე გადაყვანის პროგრამის შემუშავება, ავტომობილების გაზით გასამართი კომპრესორული სადგურების ქსელის გაფართოება და რესპუბლიკის მსხვილი და საკურორტო ქალაქების მომარაგება უეთილო ბენზინით. 1991-2005 წლებში დაიდგმება ავტომობილების გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის შემოწმებისა და შემცირების 170 საკონტროლო-მარეგულირებელი პუნქტი.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისა და მოსალოდნელი ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის შედეგად საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის რესპუბლიკის ქალაქებში ტრანსპორტით ჰაერის გაჭუჭყიანება (ავტოტრანსპორტის რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით) საგრძნობლად შემცირდება.

1991-2005 წლებში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გათვალისწინებულია: ახალი პროგრესული აირგამწმენდი, გაზისა და მტვრის დამჭერი მოწყობილობების დამონტაჟება და არსებულის მოდერნიზაცია (უწინარესად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, თბილისისა და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურებში და სხვ.), საწარმოო ტექნოლოგიური პროცესებიდან მაღალტოქსიკური ელემენტებისა და მათი შენაერთების შეცვლა და სრული გამორიცხვა, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

რესპუბლიკაში ელექტროენერგიის სულ უფრო მზარდი საჭიროება, მის წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული საკმაოდ სერიოზული უარყოფითი ბალანსი, გარდუვალად გვკარნახობს ენერგეტიკის შემდგომი განვითარების აუცილებლობას.

...მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად რესპუბლიკის გარედან შემოგვაქვს მთელი მოხმარებული სათბობისა და ენერგიის 85 პროცენტი (ბუნებრივი გაზის მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ქვანახშირისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი). 1988 წელს ელექტროენერგიის დეფიციტმა საქართველოში შეადგინა 3,6 მლრდ. კვტ. საათი. ამ დეფიციტმა ანუ წარმოებულ და მოხმარებულ ელექტროენერგიას შორის არსებულმა განსხვავებამ (რასაც მოძმე რესპუბლიკებიდან მიღებული ელექტროენერგიით ვფარავთ (და რაშიაც სულ უფრო მეტ გართულებებსა და სიძნელეებს ვაწყდებით) 1988 წლის IV კვარტალში მიაღწია 31 პროცენტს (წარმოება — 3 მლრდ. 395 მლნ. კვტ. საათი, მოხმარება — 4 მლრდ. 945 მლნ. კვტ საათი). ეს გართულებები და სიძნელეები კი, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაამძაფრა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებამ, რის გამოც უახლოესი წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემაში წარმოიშობა ელექტრული ენერგიისა და სიმძლავრის დაუფარავი დეფიციტი.

ეს აუცილებლობა განაპირობებს ქუთაისის შემოგარენში თბოელექტროსადგურის, ხოლო თბილისის რეგიონში — თბოელექტროცენტრალის აშენებას, მაგრამ ატმოსფეროს დაცვისათვის ასევე აუცილებელია ერთი მთავარი პირობა: ქუთაისის თბოელექტროსადგურისა და თბილისის თბოელექტროცენტრალის პროექტებში უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი იმუშავებენ მხოლოდ ბუნებრივ გაზზე. ამასთან, ენერგეტიკაში აღებული ორიენტაცია — მცირე „ჰესების“ აღდგენა და მშენებლობა — საჭიროა მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდეს. სახალხო მეურნეობის დარგებში ტრადიციულად გამოყენებული სათბობის სახეების (ბენზინის, ნავთის, მაზუთის, ნახშირისა და ა. შ.) ნაცვლად დაჩქარდება ძიება უფრო სუფთა სახეობის (გაზის, ელექტროენერგიის, თერმული წყლების, მზისა და ქარის) ენერგიის გამოსაყენებლად.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დასახულია საქვაბეების გამსხვილება და ცენტრალიზაცია გაზისა და ელექტროენერგიის გამოყენებით, შავ მეტალურგიაში (რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში) დაინერგება ელექტროდნობის წარმოება, საშენ მასალათა მრეწველობაში (კასპის ცემენტის ქარხანაში) — წარმოების მშრალი წესი და ა. შ.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილებისათვის საჭიროა პერსპექტივაში სტრატეგიული კურსი აღებულ იქნას ჩვენი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლაზე, ელექტროენერგიის უაღრესად დიდი დანაკარგების შემცირებაზე, ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვაზე, ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენებასა და საერთოდ ენერგეტიკის ინტენსიფიკაციაზე.

ზოგიერთ ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი) ახალი საწარმოების განლაგების შეზღუდვის მკაცრ დაცვასთან, ხოლო ზოგში (თბილისი, სოხუმი, გაგრა, ბორჯომი, წყალტუბო, ქობულეთი) მთლიანად აკრძალვასთან ერთად, განზრახულია ქალაქის ფარგლებს გარეთ გატანა იმ სამრეწველო საწარმოების ნაწილისა, რომლებიც განსაკუთრებით აბინძურებენ ჰაერს და რომელთა პროფილის შეცვლა შეუძლებელია, ან, რომელთა მიერ პროდუქციის წარმოებისას გამორიცხულია გამოყენება ისეთი ტექნოლოგიისა,, რასაც თან ახლავს მავნე გამონაბოლქვები და ნარჩენები. ამასთან, ქალაქებში განზრახულია ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის კონტროლის ავტომატიზებული სისტემების ამოქმედება, საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ფართობების გაზრდა; თანაც საწარმოების გარშემო ახალი მწვანე ზონების შექმნისას და არსებულის გაფართოებისას, აგრეთვე ნარგავების არჩევისას გათვალისწინებული იქნება გაჭუჭყიანების სპეციფიკა, ადგილობრივი კლიმატური თავისებურებები, მოსახლეობისა და ნაგებობების სიმჭიდროვე.

ვახტანგ კურცხალია

თბილისი და თბილისელები

...მხოლოდ კარგად მოფიქრებული ნაბიჯებით



ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის სარგის ცაიშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩვენი ხალხის ეროვნული სიამაყის „ვეფხისტყაოსნისადმია" მიძღვნილი. სარგის ცაიშვილმა ახლებურად დასვა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიის კვლევის საკითხი, ჩვენს ხელთ არსებულ უძველეს ხელნაწერებზე დაყრდნობით მოამზადა ფუნდამენტური გამოკვლევა ტექსტოლოგიაში „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიის სახით და წარმოაჩინა საუკუნეთა მანძილზე „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის განვითარების მეცნიერული სურათი თვით ქართული მწერლობის ისტორიული გზის გათვალისწინებით.

სარგის ცაიშვილის ნაშრომებში გააზრებულია ის ლიტერატურული პროცესები, რომლებიც მოიცავს ქართულ მწერლობას მეხუთე საუკუნიდან დღემდე (მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონოგრაფიებს დავით გურამიშვილსა და ბესიკზე), ლიტერატურული პორტრეტებისა და ესეების ფორმით წარმოჩენილია თანამედროვე მწერლობის ცალკეულ წარმომადგენელთა ღვაწლი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სარგის ცაიშვილს თავისი წვლილი შეაქვს ქართული კლასიკური მემკვიდრეობის გამოცემის საქმეში, ამავე დროს ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ახლახან მას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი გაზეთის რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად გულთბილად ულოცავს გამოჩენილ მეცნიერს ამ თარიღს და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებითსა თუ სამეცნიერო მოღვაწეობას უსურვებს.

— ბატონო სარგის, მამათქვენი სოლომონ ცაიშვილი მწერალი, ჟურნალისტი და ლიტერატურის მკვლევარი გახლდათ. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართული მწერლობისადმი თქვენი ინტერესი სწორედ ბავშვობიდან მოდის, ოჯახური წრითაა განპირობებული. ჩვენი საუბარი იქნებ იმ წლების გახსენებით დავიწყო.

— სიამოვნებით. მამაჩემი წარმოშობით ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთადან იყო, ცაიშის თემიდან. მისი პირველი მოძღვარი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი იონა მეუნარგია.

აი, სწორედ მის ოჯახთან სიახლოვეში გაღვივდა, ალბათ, მამას ქართული მწერლობისადმი განსაკუთრებული სიყვარული. აქვე იმასაც დავძენ, რომ მან ღირსეულად გადაუხადა ვალი თავის პირველ მოძღვარს და თანამედროვე მწერლობას დაუბრუნა იონა მეუნარგიას მივიწყებული სახელი. მამაჩემმა 20-იან წლებში თავის სოფელში გახსნა სახალხო სკოლა და უფასოდ ასწავლიდა თანასოფლელებს, 1924 წლის რეპრესიები მასაც შეეხო, მაგრამ უკვე დასახვრეტად „გამწესებული" სხვებთან ერთად გაათავისუფლეს მეტეხის ციხიდან. ამის შემდეგ მან მასწავლებლობა დაიწყო პატარძეულში, გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელში, სადაც თავმოყრილი იყო შესანიშნავი ქართული ინტელიგენცია. ეს შედარებით იშვიათი სახელი — სარგისი კი ჩემმა ნათლიამ — გიორგი ლეონიძემ დამარქვა, რადგან დედაჩემი ჯაყელთა საგვარეულო ოჯახიდან გახლდათ. ძველ ათაბაგთა ერთ-ერთი საგვარეულო სახელი კი როგორც ცნობილია, სარგისი იყო.

შემდეგ ჩემი მშობლები საცხოვრებლად გადმოდიან თბილისში, სადაც მამა იწყებს მოღვაწეობას სამწერლო ასპარეზზე და მუშაობს ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლად. იგი ბევრ მწერალთან მეგობრობდა, ჩვენს პატარა ბინაზე, ლენინის ქუჩაზე, ხშირი სტუმრები იყვნენ თედო სახოკია, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, ვასილ ბარნოვი, პავლე ინგოროყვა, იპოლიტე ვართაგავა, ტერენტი გრანელი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები. ალბათ, თავიდანვე ამ წრეში ჩამოყალიბდა ჩემი პირველი ინტერესები. იმ წლებთან უამრავი კეთილი მოგონება მაკავშირებს, რომელთა გამოქვეყნებასაც სამომავლოდ ვაპირებ.

— დღეს ბევრს კამათობენ იმაზე, თუ რამდენად სწორი შესწორებანია შეტანილი „ვეფხისტყაოსანში" მისი ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ. ამის თაობაზე არა ერთი წერილი დაიბეჭდა კიდეც „კრიტიკაში". როგორია პირადად თქვენი, როგორც ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია გამოთქმული შენიშვნებისადმი?

— „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დადგენა უკვე ათეულ წლებს ითვლის. ჩვენს დროში მის სათავეებთან იდგნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე, პავლე ინგოროყვა და სხვები. ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ სირთულეთა გამო ჯერ კიდევ არა გვაქვს პოემის თანამედროვე მეცნიერების დონეზე შესრულებული აკადემიური ტექსტი, მაგრამ მას მალე მიიღებს მკითხველი — ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის სრულ კორპუსს ათტომეულის სახით. მას დართული ექნება ტექსტის ვარიანტები, სრული ლიტერატურა ტექსტის ყოველ ცალკეულ დეტალზე და ვრცელი სიმფონია-ლექსიკონი.

— ესე იგი შარშანწინ „მეცნიერების" გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი, რომელმაც კამათი გამოიწვია, აკადემიური არ არის?..

— ეს გამოცემა ფართო მკითხველისათვისაა გამიზნული, ამიტომაც მასში არ არის დაცული ძველი ორთოგრაფია და არც მეცნიერული აპარატურა ახლავს სათანადო დასაბუთებებით. იგი გამარტივებული სახით წარმოგვიდგენს მომავალი აკადემიური გამოცემის ტექსტს, რათა ფართო მკითხველი ზოგადად მაინც გაცნობოდა მის მოცულობასა და ძირითად ტექსტოლოგიურ მიმართულებას. ამის შესახებ მოკლედ აღნიშნულია კიდეც შესავალ წერილში. რაც შეეხება „კრიტიკაში" გამოთქმულ შენიშვნებს, სამწუხაროდ, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერცერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მეცნიერულ დონეს და უბრალოდ „ჯობია-არჯობიას" პრინციპით იყო აგებული. ჩვენ მათ უკვე გავეცით პასუხი გაზეთ „კომუნისტში". საერთოდ, ამ შენიშვნების უმრავლესობა მეტი რომ არ ვთქვათ, პოემის ტექსტის გაუბრალოებას უწყობს ხელს.

— კერძოდ?

— ძველ ქართულში უამრავი სიტყვაა, რომელმაც შეიცვალა მნიშვნელობა და დღეს შეიძლება უხერხულადაც კი ჟღერდეს. მაგრამ კომისიის მიზანია ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენა და არა დღევანდელი სასაუბრო მეტყველებიდან გამომდინარე შესწორებების შეტანა.

— ბატონო სარგის, 1974 წელს თქვენ წერდით, რომ ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს, ამ თვალსაზრისით როგორია დღევანდელი სურათი?

— ამჟამად ჩვენი ინსტიტუტი ამზადებს როგორც ცალკეულ მონოგრაფიებს კლასიკოსებზე, ასევე ერთიან კურსს ათტომეულის სახით, რომელშიც შეჯამებული იქნება ქართული ლიტერატურის განვითარების უწყვეტი პროცესი უძველესი დროიდან. პირველი ტომები უკვე მზადაა, ხოლო მთლიანად გამოცემა დასრულდება უახლოესი ათი წლის მანძილზე. ეს იქნება კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ახალი თაობების შეტანილი წვლილი და ერთგვარი საფუძველი ქართული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანის საქმეში. ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ამ მუშაობაში ჩაბმულია სხვა სამეცნიერო კერების საუკეთესო ძალები. საერთოდ ყოველი თაობა თავისებურად სწავლობს ამ მემკვიდრეობას და ესეც ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული წინსვლის აუცილებელი, უწყვეტი პროცესია.

— როგორ ფიქრობთ, დღეს ქართველი მწერლების სკოლებში სწავლებასთან დაკავშირებით ბევრი რამაა გადასაფასებელი?

— მრავალი ათეული წლის მანძილზე ფაქტიურად ისწავლებოდა არა მწერლობის, ლიტერატურის ისტორია, არამედ ერთგვარი სოციოლოგიური შინაარსით დატვირთული ეკლექტიკა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მკითხველისათვის გასაგებ მიზეზთა გამო უცნობია აგრეთვე ბევრი მწერლის სახელი.

ამჟამად გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია (და ამ შემთხვევაში მე მარტო არა ვარ, — ქართული ენის პროგრამის მსგავსად შეიქმნას ქართული ლიტერატურის შესწავლის პროგრამაც, რომელშიაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ ჩვენი მწერლობის სრული სურათის აღდგენას, არამედ მის მხატვრულ-ესთეტიკურ საფუძველზე შესწავლის მეთოდოლოგიასაც.

— თქვენი აზრი დღევანდელი ახალგაზრდობის როლზე. ალბათ, მხოლოდ მიტინგებში მხურვალე მონაწილეობა არა კმარა, მეტი პროფესიონალიზმი, მეტი ცოდნა მოგვეთხოვება.

— ერთი რამ ცხადია: აშკარად იგრძნობა იმედისმომცემი დინამიზმი და სურვილი, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდობა ასე აქტიურად მონაწილეობს არსებული ვითარების გარდაქმნის საქმეში. თუ ეს ყოველივე გონივრულ კალაპოტში მოექცევა, იგი აშკარად მოიტანს სასურველ შედეგს. მაგრამ ახალმა გატაცებებმა არ უნდა დათრგუნოს უმთავრესი რამ, კერძოდ, მე ვგულისხმობ სწავლა-განათლებასა და ზრუნვას პროფესიული დაოსტატებისათვის, რის გარეშეც ყოველგვარი მოძრაობა შეეხება მხოლოდ ზედაპირულ შრეებს და გააძნელებს ჩვენში ყოველმხრივ სრულყოფილ პიროვნებათა ჩამოყალიბებას, არადა, სწორედ ასეთი ახალგაზრდები სჭირდება დამოუკიდებელ საქართველოს. ცნობილია ილიას აზრი, რომ ახალი თაობები ვერ გაიზრდება სათბურის პირობებში. იგი ამ შემთხვევაში ამოცანათა გაიოლებას და ზედმეტ მზრუნველობას გულისხმობდა. ახალგაზრდებმა თვითონვე ღირსეულად უნდა დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში.

— როგორც ერთ-ერთი ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რას გვეტყვით რესპუბლიკაში დღეს შექმნილ სიტუაციაზე?

— საქართველომ დღეს იქნება თუ ხვალ, უნდა მოიპოვოს ის ნატრი თავისუფლება, რომელიც მას სრულიად დამსახურებულად ეკუთვნის. ალბათ, ჩვენ ერთად მოგვიწევს ფიქრი იმაზე, თუ თავისუფლების ვითარებაში რეალურად როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა, ეს ეხება როგორც მის სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, ისევე სოციალურსა და პოლიტიკურ არჩევანს. მრავალთა შორის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ამ შემთხვევაში მე მიმაჩნია იმ ჰერმეტიზმისაგან თავის დახსნა, რომელშიც 1921 წლიდან მოექცა საქართველო. არც მეტი, არც ნაკლები, უნდა გაიხსნას ყოველგვარი ჯებირები (საზღვრებს ვგულისხმობ), რათა ჩვენც გვქონდეს საშუალება მივიღოთ მონაწილეობა თანამედროვე მსოფლიოს აქტიური ალმავლობით დატვირთულ ცხოვრებაში. არავინ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევაში ქართველობა ტოტალურად დატოვებს თავის სამშობლოს. ცხადია, ახალგაზრდები ბედის საძიებლად გავლენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და დარწმუნებული ვარ განათლებასთან ერთად ისინი მოიტანენ მატერიალური დოვლათის შექმნის თანამედროვე წესებსაც. ასევე ჩვენი ქვეყნით, მისი ჯერ კიდევ გამოუვლენელი სიმდიდრით დაინტერესდებიან უცხო ქვეყნებიც, რომლებიც ეკონომიკურ კავშირებს დაამყარებენ მასთან. ასეთი ურთიერთკავშირის საფუძველზე რეალური ჩანს, რომ ჩვენმა ქვეყანამ კვლავ აღადგინოს ისტორიული ცხოვრების დაკარგული ტემპი. აქვე იმასაც დავსძენ, რომ ლოდინი უკეთეს მერმისზე დამღუპველია. ჩვენ დღესვე უნდა ვიზრუნოთ, რათა დროულად მივაღწიოთ ემანსიპაციას ამ მიმართულებით.

— თქვენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რომელ გზას უჭერთ მხარს?

— ასეთ დროს ჩვენ არც დაყოვნება მოგვიტანს სიკეთეს, არც ზედმეტი აჩქარება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გვმართებს ყურადღებით მივაპყროთ მთელი გულისყური იმ პოლიტიკურ ძვრებს, რომლებიც ხდება დღეს როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საბჭოთა კავშირში. ჩვენ ამისათვის უნდა ვემზადებოდეთ როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უახლოეს ხანში შეიქმნება კიდევ უფრო ხელსაყრელი ვითარება, როდესაც ჩვენ ყოველმხრივ შემზადებული გადავდგამთ გადამწყვეტ ნაბიჯს, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი.

პარლამენტურმა გზამ იმავე ატმოსფეროში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, არა მგონია, საბოლოო შედეგამდე მიგვიყვანოს. ეროვნული გამოღვიძების შინაგანმა სტიქიამ უნდა მოიცვას მთელი ჩვენი ერი და ეს იქნება მომავალ წარმატებათა ყველაზე დიდი გარანტია.

რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსეთს, მე ეს პრობლემები გამოგონებულ, უფრო ზუსტად, ინსპირირებულ მოვლენებად მიმაჩნია იმიტომ, რომ ფაქტიურად აქ სადავო არაფერი არ უნდა იყოს. ყველა შეგნებულ აფხაზს, რომელთა შორის მე, პირველ რიგში, გიორგი შერვაშიძეს ვგულისხმობ, მიაჩნდა და უნდა მიაჩნდეს ის, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზებს არ დაეკარგათ თავისი რაობა და თვითმყოფი კულტურა. ამ ურთიერთობის გზაზე ჩვენი ხალხი ყოველთვის დათმობისა და შემწყნარებლობის გზას ირჩევდა. მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი ვაი-მოღვაწის ხელით აფხაზების მცირერიცხოვან ტომს მიეზომა ქართველი ხალხით დასახლებული უზარმაზარი ტერიტორია. რასაკვირველია, ასეთი ტიპის ავტონომიის შექმნა აფხაზეთის სახელით, რომელშიც თვით აფხაზები უმცირესობას წარმოადგენდნენ, იმთავითვე იყო საქართველოს სუვერენიტეტის კიდევ ერთი უხეში ხელყოფა. ნაცვლად იმისა, რომ ესა და სხვა დათმობები სათანადოდ შეეფასებინათ, აფხაზეთში მოქმედმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა შექმნეს სრულიად შეუწყნარებელი ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის. გამოსავალი არც ისე ადვილია, რადგან იგრძნობა ეგრეთ წოდებული მესამე ძალის უხეში ჩარევის აშკარა რეციდივები. ხოლო ყოველივე ამან გაამძაფრა და თავისთავად დასვა დღის წესრიგში ძველ შეცდომათა გამოსწორების აუცილებლობა: ახლა მაინც გადასინჯულ იქნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და რეალური ვითარების მიხედვით მოხდეს ქართული მოსახლეობის უფლებათა აღდგენა საკუთარ სამკვიდრებელში.

კიდევ უფრო უცნაურია ის პრეტენზიები, რომელიც უკანასკნელ ხანს გამოავლინა სამხრეთ ოსეთში მოკალათებულმა ზოგიერთმა პირმა, რომლებმაც აქ მცხოვრები ოსების მეთაურობა დაიჩემეს და, სამწუხაროდ, აიყოლიეს კიდეც ისტორიულ ქვემო ქართლში ჩამოსახლებული ოსების ერთი ნაწილი, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებული ამ საკითხში. ოსეთის ე. წ. ავტონომიური ოლქი სრულად შეუფერებელი წარმონაქმნი იყო და მომავალში ამ შეცდომის გამოსწორება გადაუდებელი ჩანს. ქართველი ხალხი, რომელმაც თავის დროზე შეიფარა ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულ ოსთა ერთი ნაწილი, კვლავაც ყველაფერს იღონებს, რათა მათ ცხოვრებისა და განვითარების შესაფერი პირობები შექმნათ. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— ბატონო სარგის, 1977 წელს თქვენ ნარკვევში „თუშეთის ბედი" აყენებთ მიწების მიტოვების პრობლემას და თუშეთში შეხვედრილი ლეკების სიტყვებს — „თუ მიწას არ უპატრონე, თვითონვე გაიჩენს ახალ პატრონებსო", — გამაფრთხილებელი ზარივით ჩამოჰკრავთ. დღეს საქართველოს მთას ძალიან უჭირს. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მას ვუწამლოთ?

— საქართველო ფაქტიურად მთისა და ბარის ქვეყანაა და უამრავი მისი თვისებურება ისტორიის მანძილზე ამ ერთიანობამ განაპირობა. სამწუხაროდ, ჩვენი ახლო წარსულის სოციალურმა, ეროვნულმა თუ სხვა მცდარმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ჩვენ ფაქტიურად ვკარგავთ საქართველოს მთიანეთს. ყალბი სტერეოტიპების საფუძველზე მთაც ისეთივე პირობებში ჩავაყენეთ, როგორშიც ბარი და, რაც მთავარია, ამ საკითხის გადაწყვეტისას იოლი გზა იქნა არჩეული. მასობრივად დაიწყეს მთიელების გადმოსახლება ბარში. თითქოსდა აქ ისინი მეტ სარგებელს მოიტანდნენ. ფაქტიურად ,ჩამოსულმა მთიელებმა, რომლებიც ვერ შეეგუენ ბარის სოფლებს, ადგილობრივ მეურნეობას, ქალაქს მიაშურეს. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მათი ნაწილი კვლავ დაუბრუნდეს მთას, რისთვისაც მას განსაკუთრებული პირობები უნდა შევუქმნათ თავისუფალი მეურნეობის გასაშლელად. კერძოდ, დავურიგოთ მათ მიწები, გადასახადები აღარ დავადოთ (პირველ ხანებში მაინც), მეტი ყურადღება მივაქციოთ მიგრაციის ერთ-ერთ მიზეზს — მთის ეკოლოგიის საკითხებს. წარსულის შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ.

— ბატონო სარგის, აქ მინდა შევეხო ერთ კონკრეტულ საკითხსაც, რომელიც, ჩემის აზრით, მეტყველი მაგალითია წარსულში ცენტრისტულ მიდრეკილებათა ბატონობაზე ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ამჟამინდელი სისტემის ავ-კარგიანობას ვგულისხმობ...

— ბოლო წლებში ამ საკითხზე ხშირად ვსაუბრობთ და მეც მომიხდა რამდენჯერმე საჯაროდ, მათ შორის პრესაშიც, — ჩემი აზრის გამოთქმა, თუმცა რეალური ნაბიჯები, მიუხედავად შედარებით ხელსაყრელი პირობებისა, ჯერ კიდევ ვერ გადაგვიდგამს, საერთოდ სამეცნიერო ხარისხების სისტემა თავისთავად სასარგებლოა და ნორმალურ ვითარებაში გარკვეული სტიმულია ახალგაზრდებისათვის. ალბათ, ამიტომაც, იგი სხვადასხვა ვარიაციებით მთელს მსოფლიოში ფუნქციონირებს და დიდი ტრადიციაც მოეპოვება. უფრო მეტსაც ვიტყვი, იგი ზნეობრივ რიტუალთა რიგშია წარმოდგენილი და ამას აქვს თავისი გამართლებაც.

რაც შეეხება ჩვენში გაბატონებულ სისტემას, იგი აშკარა ხარვეზებს შეიცავს და დაუყოვნებლივ ითხოვს სრულ გარდაქმნას. სხვა და სხვა ბიუროკრატიულ ჯებირებს რომ დავანებოთ თავი, საკმარისია ითქვას, რომ უკვე ის ფაქტი, რომ ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს ბოლო ინსტანცია მოსკოვშია და თანაც მთავარი მოთხოვნა — თვით დისერტაციის (სათანადო დოკუმენტაციით) რუსულ ენაზე თარგმნა, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ ეროვნული კულტურის უზურპაციის რა სახეობასთან გვაქვს საქმე.

მაგალითების მოტანა აქ შორს წაგვიყვანდა, მით უფრო, როცა ეროვნულ დარგზეა საუბარი. მე ვფიქრობ, რომ ორი აზრი არ უნდა არსებობდეს იმის თაობაზე, რომ სწორედ საქართველოშივე წყდებოდეს საბოლოოდ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საკითხი. მაგრამ, მე პირადად წინააღმდეგი ვიქნები იმისა, რომ ახალი ბიუროკრატიული აპარატი შეიქმნას თვით საქართველოში, რადგან არც ეს ახალი წარმონაქმნი იქნება დაზღვეული მოსალოდნელი შეცდომებისაგან.

დისერტაციის დაცვა საჯარო პაექრობის პროცესია და აქვე უნდა გადაწყდეს კიდეც ხარისხის მინიჭება — არმინიჭების საკითხიც. საჭიროა თვით სამეცნიერო საბჭოების გაძლიერება საუკეთესო სპეციალისტებით, მისი კომპეტენციის გაფართოება და არა ახალი ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური გზის გამონახვა. ეს იქნება, ჩემის აზრით, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება და მე პირადად ვიბრძოლებ კიდეც მისი განხორციელებისათვის უახლოეს ხანებში.

— ბატონო სარგის, შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ თქვენ ალპინისტი ბრძანდებით, სპორტის ოსტატი. თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე. საინტერესოა, ამ გატაცებას მხოლოდ წმინდა სპორტული ინტერესები ასაზრდოებდა?

— მე სპორტის რამდენიმე სახეობით ვიყავი გატაცებული, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მთამსვლელობამ. ფაქტიურად ნამყოფი ვარ კავკასიონის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მწვერვალზე და მივიღე კიდეც მონაწილეობა ქართველ მთამსვლელთა პირველ ლაშქრობაში პამირზე. მაგრამ ალპინიზმი ჩემთვის მარტო სპორტული გატაცება არ ყოფილა. ეს იყო კიდევ ერთი გზა ჩვენი ხალხისა და ჩემი სამშობლოს შესასწავლად. ახალგაზრდებს მოვუწოდებ, რაც შეიძლება მეტი იმოგზაურონ. ასე უფრო ხელშესახებად იბადება ის დიდი კავშირები, რომელიც ყველა ჩვენთაგანს უნდა ჰქონდეს თავის ხალხთან და ქვეყანასთან.

— ამ ათიოდე წლის წინ თქვენ წერდით: „მამულის სიყვარულის გრძნობა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის აპოგეას, გარდაიქმნება მრისხანე ძალად, როცა იგი საყოველთაოა და ერთნაირად ეუფლება დიდსა და პატარას, უბრალო ადამიანებსა და ამა ქვეყნის რჩეულთ". შარშანდელი წელი, ამ თვალსაზრისით უდავოდ, გამორჩეული იყო. რას უსურვებდით ჩვენს ხალხს?

— წლევანდელი წელი კვლავ მღელვარე იქნება, რადგან ბევრი მწვავე საკითხი ჯერ კიდევ მოელის დღის სინათლეს. ჩემი ნატვრა ის იქნება, რომ ახალი, გააზრებული და კარგად მოფიქრებული ნაბიჯები გადავდგათ იმ გზაზე, რომელიც უახლოეს მომავალში სიკეთესა და თავისუფლებას მოუტანს ჩვენს ხალხს.

ესაუბრა
მაია თუნგია

ვის აძლევს ხელს

ამ ორიოდე თვის წინ, საქართველოსა და პარალელურად საკავშირო ტელევიზიის ეკრანზე გადიოდა სამსერიიანი ქართული მხატვრული ფილმი „გამოცხადება". იგი საკავშირო „სახტელერადიოს" დაკვეთით გადაუღიათ. სცენარის ავტორები არიან იუზა ყაჰეიშვილი — ამავე სახელწოდების რომანის ავტორი და გია მატარაძე. ფილმის დამდგმელი რეჟისორიც გია მატარაძეა, კომპოზიტორი კი იაშა ბობოხიძე.

ფილმის მხატვრული ღირებულების შეფასებას ჩვენ არ ვაპირებთ, ამის შესახებ კომპეტენტური სპეციალისტები იტყვიან სათქმელს, მაგრამ ერთ დეტალზე კი აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება.

ფილმის „გამოცხადება" მთავარი პერსონაჟია ჩვეულებრივი საქმოსანი, გადაგვარებული პიროვნება, გვარად ტაბიძე. რაღა მაინცდამაინც ტაბიძე შეურჩიეს ამ პერსონაჟს გვარად? ნუთუ გვარები დაილია საქართველოში?

საქართველოს სასიქადულო პოეტების გალაკტიონისა და ტიციანის გვარი ნამდვილად არ იმსახურებს თანამემამულეებისაგან ასეთ დამცირებას.

აქვე იმასაც დავძენ, რომ შარშან, საკავშირო კინოთეატრებსა და ვიდეოსალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ორსერიიანი ფილმი „წითელი სიცხე". ამ ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟიც გაქნილი საქმოსანი და ავანტიურისტია, გვარად რუსთაველი. ვის აძლევს ხელს ქართველი ხალხის სათაყვანო პოეტების ასე გაბიაბრუება?

თუ „წითელი სიცხის" დამდგმელ-გადამღებნი რუსი და ამერიკელი კინემატოგრაფისტები არიან და დავუშვათ შეცდნენ, ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ჩრდილს აყენებდნენ რუსთაველს, ფილმის „გამოცხადება" შემქმნელები ხომ ქართველი კინემატოგრაფისტები არიან? სწორედ მათ გაიმეორეს იგივე შეცდომა, რაც მით უფრო მიუტევებელია.

დათო ჭელიძე,
კინოსტუდია „ქართული ფილმის" მექანიკოსი.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას

გამომცემლობის კოლექტივმა განიხილა 1989 წლის 6 თებერვლის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული ფ. კოჟიაშვილის წერილი „არა შეჯდა მწყერი ხესა...", რომელშიც სამართლიანადაა გაკრიტიკებული 1990 წლის კედლის კალენდარი.

მოგეხსენებათ, მოვლენები დღეს, არამც თუ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელს კავშირში და მთელს მსოფლიოში სწრაფად იცვლება. საჭირო იყო, გასულ წელს საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტები ნაწილობრივ მაინც აღნუსხულიყო კალენდარში. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ტექნიკური სიძნელეებისა (კალენდრის გამოცემა რთული და ხანგრძლივი ტექნოლოგიური პროცესია. იგი იწყობა თბილისში და იბეჭდება კიევში), დამატრიცებულ ანაბეჭდებში ჩაემატა მასალები: 9 აპრილის ტრაგედიისა, 26 მაისისა და სახალხო ფრონტის დაარსების შესახებ. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია და საერთო ჯამში, კალენდარი ვერ ასცდა ძველ სტერეოტიპს. კალენდარი მოვლენებს თან უნდა სდევდეს, უნდა დაიხვეწოს მისი შინაარსობრივი დატვირთვა, იგი უნდა გახდეს ეროვნული, და რაღა თქმა უნდა, სახალისო საკითხავი. კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, რომლის დაბადების დღესაც აღნიშნავს კალენდარი, უნდა იყოს ღირსშესანიშნავი მოვლენა მთელი ერისათვის და არა მხოლოდ ვიწრო სამეგობრო წრისათვის. შემდგენლები, რედაქტორები და პასუხისმგებელი პირები მომავალი წლის კალენდრის გამოცემისათვის გაითვალისწინებენ ყველა იმ ნიუანსს, რითაც ერი ცოცხლობს, რითაც ცოცხლობს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო. ჩამოყალიბდება საბჭო, რომელშიც შევლენ სპეციალისტები. საბჭო განიხილავს კალენდარს და მისცემს ვიზას.

უნდა ითქვას, დღემდე ამ საქმეს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, რისთვისაც გაფრთხილებულ იქნა კალენდრის რედაქტორი ი. ლებანიძე, მეტი დაკვირვება და მეტი ოპერატიულობა გამოიჩინოს, რათა დაიხვეწოს მასალა და საზოგადოებამ მიიღოს ღირსეული კალენდარი, ისეთი, როგორიც შეშვენის დღევანდელ საქართველოს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

●

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" № 13-ში გამოქვეყნებულია გ. ჯოხაძის სტატია „განვიწმინდოთ აბსურდული კონიუნქტურებისაგან", სადაც საუბარია თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისათვის სახელწოდებების შეცვლის შესახებ.

რამდენიმე დღის წინ ქუთაისში ყოფნისას წავიკითხე ადგილობრივი გაზეთი „ქუთაისი", სადაც აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის „ტორპედოს" გუნდის მესვეურებმა დააკმაყოფილეს საზოგადოების თხოვნა და ამიერიდან მათ გუნდს „ქუთაისი" ეწოდება.

გთხოვთ, თქვენი გაზეთის მკითხველებს ამცნოთ ეს შესანიშნავი თაოსნობა და მოვუწოდებ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას მიჰბაძონ ქუთათურებს.

ზურაბ ქარქაშაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

მინდა, კვლავაც ჩამოვიდე თბილისში

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას" ახალი სცენური განსხეულება მოხდა. შედგა ორი საპრემიერო სპექტაკლი. მასში მონაწილეობდნენ: თემურ გუგუშვილი, მარიცა მაღლაფერიძე, მზია დავითაშვილი, ელდარ გეწაძე, ლევან ასათიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, სპექტაკლი განახორციელა ცნობილმა საოპერო რეჟისორმა სემიონ შტეინმა, 1973 წელს მინსკის საოპერო თეატრის სცენაზე მან დადგა „მინდია", რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია. სპექტაკლს დაესწრო ბატონი ოთარი და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ თბილისში „მინდიას" ახალი დადგმა სემიონ შტეინს განეხორციელებინა.

— ეს წინადადება ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ალბათ, გაინტერესებთ, თუ რამ მიმიზიდა ამ ოპერაში. პირველ რიგში — მუსიკამ, შემდეგ კი საოპერო სიუჟეტმა. მე გადავიკითხე ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გავეცანი ქართულ ტრაგედიებს, დაწვრილებით შევისწავლე „გველის მჭამელი", რომელიც საფუძვლად დაედო ოპერის ლიბრეტოს. ნაწარმოების ზნეობრივ-ფილოსოფიური პოზიცია სცილდება ნაციონალური, ქართული კოლორიტის ჩარჩოებს, ამ ნაწარმოებში ჩადებული აზრები, იდეები, ემოციური სტიქია დღესაც არ შენელებულა. ასე აღვიქვი ეს ნაწარმოები და შეიძლება სწორედ ამან მისცა ოპერას ძალა და ემოციური სიმძლავრე.

— თუ არის ცვლილებები მინსკის სპექტაკლსა და დღევანდელ სპექტაკლს შორის?

— არის და არც არის, სპექტაკლის ძირითადი კონცეფცია დარჩა, მაგრამ ბევრი ეპიზოდი ახლებურად გავიაზრეთ. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო მსახიობების განწყობაზე იმ მოვლენების ზემოქმედება, რომელიც მოხდა და ახლაც ხდება საქართველოში. ოპერის ერთ-ერთი უმთავრესი აზრი ხომ ის არის, რომ სისხლი არ დაღვარო, რომ მოუფრთხილდე ადამიანს და საერთოდ ყველა სულიერს, მოუფრთხილდე ბუნებას. სპექტაკლში ბუნება და ხალხი ერთმანეთს უპირისპირდება, ბუნება კეთილშობილების, სინაზის განსახიერებაა, ხალხი კი — სისასტიკის. ამ ორ ძალას შორის ჩნდება მინდია თავისი ტრაგიკული ბედით. იგი ახლოა ბუნებასთან, მაგრამ ადამიანებს შორის ცხოვრობს და ეს არის მისი ტრაგედიის სათავე. ეს კონფლიქტი ყველაზე მთავარია ოპერაში და მე იგი ახლებურად გადავწყვიტე.

— ბუნება ცოცხალ პერსონაჟადაა ქცეული...

— ბევრ ქართველ მწერალთან ბუნება გაადამიანურებულია, ფლობს ყველა ადამიანურ თვისებას. იგი ოხრავს, უხარია, განიცდის. სპექტაკლში ბუნების გასულიერება, გაადამიანურება გამოიხატა გუნდით. სპექტაკლში შევიყვანეთ პერსონაჟი, რომელიც კითხულობს ავტორის ტექსტს. ბუნება მოქმედებს, ის მოქმედი პირია. პროგრამაშიც პირველ მოქმედ პირად ბუნება სწერია. როდესაც ბუნება მინდიას განუდგება, კონფლიქტი გამოიხატება არა მხოლოდ სმენით — მუსიკის საშუალებით, არამედ ვიზუალურადაც — ბუნება ზურგს აქცევს მინდიას. ახლებურად გადავწყვიტე სანთლების თემა. სანთელი ხომ მწუხარების სახეა. ამ შემთხვევაში ის, ერთის მხრივ, გლოვაა ჩალხიას სიკვდილის გამო, მეორეს მხრივ კი გლოვაა მინდიას მიმართ, რომელმაც ბუნების კანონებს უღალატა. ქართული წესჩვეულებიდან გამომდინარე, გავაკეთე სცენა, როდესაც ბრძოლიდან დაბრუნებული გამარჯვებულები დამარცხებულთა ქუდებიდან სვამენ ღვინოს და ზურგს უკან, შორს ისვრიან, თითქოსდა იმის სიმბოლურ გამოხატულებად, რომ მტერი არასოდეს მობრუნდეს ქართულ მიწაზე.

—შემსრულებლებზე რას იტყვით?

— თემურ გუგუშვილი მინდიას როლის შესანიშნავი შემსრულებელია. ეს არის მინდიას სახის, განცდების, ხასიათის შემქმნელი მომღერალი. ჩალხიას ოთხი შემსრულებელი ჰყავს. ისინი გარეგნობით, ხასიათით განსხვავებულნი არიან. ძალიან მომეწონა ელდარ გეწაძე, იგი ძალიან სერიოზულია მუშაობისას, ფლობს საოპერო არტისტის ოსტატობას. მას შეუძლია გმირის ხასიათს დაუქვემდებაროს ყველა ვოკალური სირთულე. ასევე ძალიან საინტერესოა ანზორ შომახია. ვთვლი რომ ლევან ასათიანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, კარგად წარუძღვა თავის როლს. ჯემალ მდივანმა ნაკლები მონაწილეობა მიიღო რეპეტიციებში. მზიას ხუთი შემსრულებელი გვყავს, ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მარიცა მაღლაფერიძე არის საოცრად ქალური, სცენური მომხიბვლელობის მსახიობი, ის კარგად ჩასწვდა მზიას ხასიათს. მზია დავითაშვილი შესანიშნავად უძლევა რთულ ვოკალურ პარტიას, ვირტუოზულად მღერის. სამწუხაროა, რომ იტალიაში სტაჟირებაზე გამგზავრებასთან დაკავშირებით, სპექტაკლში ვერ იმღერებს. იანო ალიბეგაშვილი ძალიან საინტერესო მომღერალია, თავისებური ხასიათით. ქალბატონი მედეა ამირანაშვილი მზიას პარტიის პირველი შემსრულებელია 1961 წელს. მე დიდ შეფასებას ვაძლევ მის პროფესიონალიზმს. ნათელა კირვალიძე თბილისში არ იმყოფებოდა, ვიმედოვნებ, რომ იგი თავისებურად საინტერესოდ წარმოადგენს თავის პერსონაჟს.

— რომელი ქართული ოპერის დადგმას ისურვებდით?

— ...ალბათ კიდევ ერთხელ დავდგამდი „მინდიას"... მე ძალიან მიყვარს თბილისი, თქვენი საოპერო თეატრი, მისი კოლექტივი, ყველას მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემდამი და სპექტაკლისადმი ყურადღებისათვის. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ კიდევ რამე დავდგა თქვენთან.

ნონა ლომიძე

იჩქარეთ სულის ზეიმზე

მხატვარ ლადო ტატიშვილის შემოქმედებაზე ხელოვნებათმცოდნეები, რა თქმა უნდა, იტყვიან თავის კომპეტენტურ სიტყვას, მაგრამ მისი სურათებით მონუსხულს, არ შემიძლია, გულგრილი ვიყოთ ორიოდე სიტყვით არ გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება.

ყველა მხატვარი განუმეორებელია თავისი ინდივიდუალობით, განურჩევლად მისი ნიჭისა, და, თუ გნებავთ, უნიჭობისა. სურს ეს მხატვარს თუ არ სურს, ნახატებში ზუსტად დაუფარავად აისახება მათი შინაგანი სამყარო, ზნეობა, ინტელექტი. უფრო მეტიც — ყველა ნახატი ერთგვარი აღსარებაცაა მაყურებლის წინაშე, სამსჯავროდ გამოტანილი, მხატვრის სიხარულის, წუხილის, დარდის გამომხატველი.

ყველაზე ფასეული, რამაც მომნუსხა ლადო ტატიშვილის ნახატების დათვალიერებისას, ეს იყო პირველი: მხატვრის სიმართლე, მისი სურვილი შეულამაზებლად, შეუფერადებლად გადმოეცა განცდილი, ბოლომდე მართალი დარჩენილიყო თავის თავთან, და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი: მხატვრის ზნეობრივი სიწმინდე, რწმენა, სულგრძელობა, სიხარული, სიყვარული მოყვასისადმი — ნიჭი სულისა სხვადასხვაგვარი ელვარებით რომ ციალებს მის ნახატებში.

ვინ იცის, ვინ გაიგებს, რა უსაშველოდ ძნელი იყო ეს გზა მხატვრისათვის. გზა ძიებისა, საკუთარ სულში დავანების, გოლგოთისა და სამოთხის გზა, ერთდროულად ნარ-ეკლითა და ია-ვარდით მოფენილი?! მთავარია, რომ არსად ამ ძნელ გზაზე, არც ერთხელ არც ერთ ნახატში მხატვარი არ ტყუის, არ ჩქარობს, არ ალამაზებს თავის სამყაროს. პირიქით. ალბათ, საოცარი ნიჭის წყალობით თუ ახერხებს, ახლებურად განგვაცდევინოს ფიროსმანის დიდი მწუხარება და ბედნიერება ერთდროულად, იუდა ისკარიოტელის განწირული სასოწარკვეთა, იესო ქრისტეს უდიდესი სათნოება... რომელი ერთი გინდა ჩამოთვალო?

კაცმა რომ თქვას, არც შეიძლება ამ ნახატების ჩხრეკა-განხილვა. ღმერთმა შემინდოს და ასე მგონია, ეს ნახატები, სახარებასავით, თუ შეგიძლია, ისევე უნდა მიიღო როგორც დაუხატავს ავტორს, აივსო მისი მადლით, ამაღლდე, განიწმინდო. ესაა მათი უპირველესი დანიშნულება. რაც შეეხება მხატვრის ოსტატობას, სტილს, ფერს თუ კომპოზიციას, ჩემთვის ისინი იდეალურია, რადგანაც ღვთით ბოძებულ ნიჭთან ერთად მათი საშუალებით აღწევს მხატვარი ღრმა მიზანს — ავსებს ჩვენს სულს პოეზიით, სინათლით, სხივით. წუთიერად, მაგრამ მაინც გვანთავისუფლებს ცხოვრებისეული, ამაო ფუსფუსისაგან. გვწმენდს, გვაკეთილშობილებს, გვახარებს, იმედით გვავსებს.

რა შეიძლება მხატვარს უსურვო?!

მომავალ ნახატებშიც ასე მართალი და სულისმიერი დარჩეს, ჩვენდა გასახარად.

თქვენ კი, ვისაც ჯერ არ გქონიათ ბედნიერება, გენახათ მხატვრის სახლში მოწყობილი ეს გამოფენა, იჩქარეთ, იჩქარეთ აზეიმოთ სული, ეზიაროთ ნამდვილ, ჭეშმარიტ ხელოვნებას — მხატვრის სიმართლითა და ზნეობრივი სიწმინდით გაჟღენთილს.

მედეა კაიდია

ჩვენი სადისკუსიო კლუბი

როგორ ვიბრძვით „სიმართლისათვის“

გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე (1989 წ. № 55 — 1990 წ. № 1) დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ონიანის წერილი — „აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით“. ხსენებულ პუბლიკაციაში ავტორი ეხება პრობლემას, რომელსაც ოდენ ლინგვისტური მნიშვნელობის მოვლენად ვერ ჩავთვლით — მას გარკვეულწილად პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტებით შეფასება ესაჭიროება.

საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი ალ. ონიანი აკრიტიკებს ცნობილ ქართველ მეცნიერებს — არნ. ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას და პირდაპირ ბრალსაც კი სდებს მათ: „საქმე გვაქვს ნაძალადევ და უაღრესად ტენდენციურ შეხედულებებთან, რომელთა **ძირითად მიზანს** ქართველ-აფხაზთა ისტორიულ ურთიერთმიმართების მრუდე სარკეში წარმოჩენა წარმოადგენს, ქართველი ხალხისა და მისი ისტორიის საზიანოდ“.

როგორც ვხედავთ, ბრალდება მეტად მძიმეა და ძალაუნებურად ამ მეცნიერთა წინააღმდეგ განაწყობს მკითხველს; არაკომპეტენტური, საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის კი ერის ღირსეული შვილის სახელი შესაძლოა მოღალატის ცნებას გაუთანაბრდეს!

უპირველეს ყოვლისა, ვიზიარებთ თვით ალ. ონიანის აზრს იმის თაობაზე, რომ „როდესაც პიროვნების ინტერესები ჭეშმარიტებისა და ერის ინტერესებს ეჯახება, მაშინ დიპლომატიურ თამაშსა და სიმართლის თქმისაგან თავის შეკავებას მეცნიერებისა და ერისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია...“

მაგრამ აქვე ჩნდება სრულიად სამართლიანი კითხვა: რა არის არნ. ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას თვალსაზრისებში „პიროვნული ინტერესების“ გამომხატველი და რითი „ეჯახება“ იგი „ჭეშმარიტებისა და ერის ინტერესებს?“

როდესაც რთული და მრავლისმომცველი პრობლემის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მხარეს ეხება მკვლევარი და მასზე მანიპულირებს, ცალმხრივობის, ტენდენციურობის საშიშროება იქმნება; ამგვარი საშიშროება შეიქმნა, ჩვენი აზრით, ალ. ონიანის პუბლიკაციის გამოქვეყნების შედეგად: პრობლემის ცალმხრივად, მხოლოდ ერთი კუთხით გაშუქებამ მიიყვანა მკვლევარი იმ ბრალდებამდე, რომელსაც ვერ გაიზიარებს ვერც ერთი მეცნიერი, ვისაც გარკვეული ინფორმაცია მაინც მოეპოვება არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძის და სხვათა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

ყველასათვის შეიძლება არც იყოს ცნობილი (და ეს უნდა ყოფილიყო აუცილებლად მოხსენიებული ობიექტურობის პრეტენზიით დაწერილ პუბლიკაციაში), რომ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ჰიპოთეზას ქართველურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ; ეს ჰიპოთეზა შემდგომში გაიზიარეს მისმა მოწაფეებმა და თანამდგომებმა, აგრეთვე რუსმა და საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა.

ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ქართველი ხალხის რაობის, მისი ისტორიისა და წარმომავლობის კვლევა მიაჩნდა. ამ ამოცანის გადაჭრას კი კავკასიისაგან მოწყვეტით შეუძლებელ საქმედ თვლიდა.

ქართველური ენები არც ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედიან, არც სემიტურ თუ ალთაურ-თურქულ ენათა ოჯახებს განეკუთვნებიან... თავისთავად დაისმოდა მეზობელ კავკასიურ ენებთან ნათესაობის საკითხი. სხვათა შორის, ამ აზრამდე პირველი სწორედ არაქართველი მივიდა — ივანე ჯავახიშვილმა კი განავითარა და მეცნიერულ კონცეფციად ჩამოაყალიბა ეს ჰიპოზეთა.

მოსკოვის ანტიქართულმა ძალებმა იმთავითვე მიუღებლად ჩათვალეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის კონცეფცია — მათ პოლიტიკური თვალსაზრისით შეაფასეს მოვლენა (არ აწყობდათ კავკასიელი ხალხების ერთობის მტკიცებანი) და პრინციპით — „გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო“ — პოლიტიკური მიზნებით გატაცება დასდეს ბრალად ამ ჰიპოთეზის დამცველებს...

აი, ასეთია ისტორია, ასეთია ფაქტები.

ამრიგად, აკადემიკოსები — არნ. ჩიქობავა და ს. ჯანაშია იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზიდან გამოსვლით, აფხაზურ-ადიღეურ ენებშიც ეძიებდნენ ქართველურ ენებთან ისტორიული ურთიერთმიმართების დამადასტურებელ ელემენტებს — და ეს სულაც არ არის დასაძრახი! ამდენად, სამართლიანი არაა პროფ. ალ. ონიანის განცხადება იმის თაობაზე, რომ აშკარად ჩანს (იგულისხმება არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას შრომები — ქ. გ.) ქართველურ ენებში აფხაზურ-ჩერქეზული ელემენტების ენერგიული ძიების ცდა“.

აქ შეგნებულად დამახინჯებულია ფაქტები: ამ ძიებას არ ჰქონდა ცალმხრივი ხასიათი — ენობრივი კონტაქტები ურთიერთგავლენას გულისხმობენ და საჭირო ხდება ორმხრივი გავლენის (აგრეთვე შესაძლებელი საერთო მასალის) გულდასმით და დაკვირვებით შესწავლა.

როგორც ვხედავთ, საკუთარი „ისტორიის გაყალბების“ მცდელობა, რაშიც ბრალს სდებს პატივცემული მკვლევარი არნ. ჩიქობავას და ს. ჯანაშიას, ვერავითარ გამართლებას ვერ პოულობს; პირიქით, დიდი მეცნიერები ემსახურებოდნენ დიდ საქმეს — კავკასიელ ხალხთა ერთიანობის, ურთიერთმეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების კეთილშობილურ იდეას: არა მარტო ქართველები ეძიებდნენ ასე „გულდასმით“ ნათესაობის დამამტკიცებელ „არარსებულ“ არგუმენტებს — ჩეჩნები, დაღესტნელები, ალ. ონიანის მიერ ავადხსენებული ჩერქეზებიც ინტერესდებოდნენ ქართველური ენების პრობლემატიკით — შეისწავლიდნენ ქართულ ენას, კულტურას ჩვენს ისტორიას... აი, „დანაშაული“, რომელიც ჩაიდინეს არნ. ჩიქობავამ, ს. ჯანაშიამ და სხვა დიდმა მეცნიერებმა — შემქმნელებმა მთელი სკოლისა, ერთი მთლიანი ლინგვისტური მიმდინარეობისა.

და რა მოულოდნელი ჩანს პროფ. ალ. ონიანის განცხადება: „ამ მტკიცებათა შემცველი შრომები, როგორც წესი, გამოქვეყნებულია ქართულ ჟურნალებში, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არა ქართულად, არამედ რუსულად“.

როცა ვინმეს ეუბნები, ჩემი ძმა ხარო, იმ ენაზე უნდა უთხრა ეს სიტყვები, რომ მისთვის გასაგები შეიქმნეს. ამიტომაც იწერებოდა სტატიები რუსულ ენაზე — დაღესტნელთა, აფხაზთა, ჩეჩენთა და სხვათა გასაგონად. კარგად უნდა მოეხსენებოდეს ბატონ ალ. ონიანს იმ პერიოდის ენობრივი სიტუაცია — ამ ხალხებთან ურთიერთობა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო შესაძლებელი...

იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზას გააჩნია საკმაოდ მყარი საფუძვლები და მისი ხელაღებით უარყოფა სერიოზულ საფრთხესთან აყენებს მკვლევარს: თუ არ ეთანხმები, მაშინ სათანადო არგუმენტაციით უნდა დაამტკიცო კიდეც შენი მოსაზრება... დრო კი მართლაც შესაფერისია თითქოს — იმძლავრა ეთნოკრიზისებმა — რაღა გვაქვს მათთან ძმობა-საფიცარი! მით უმეტეს, თუ ისინი ავად იყენებენ ცნობილი მეცნიერების თვალსაზრისებს (ნუთუ ამაშიც არნ. ჩიქობავას და ს. ჯანაშიას ედებათ ბრალი?).

პროფ. ალ. ონიანს გადაუწყვეტია, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აჩვენოს მკითხველს, თუ რა უნიადაგოა ცნობილ მეცნიერთა მტკიცებანი. ამ მიზნით იგი ლინგვისტურ ანალიზს მიმართავს.

ერთი შეიძლება ითქვას — რამდენად გამართლებულად მიაჩნია პატივცემულ მკვლევარს პოპულარულ გაზეთში ლინგვისტური პაექრობის გამართვა — ეს ხომ მკითხველისაგან სათანადო მომზადებას მოითხოვს... ამჟამად ჩვენ პუნქტებად ჩამოყალიბებულ მის არგუმენტებს სათითაოდ ვერ განვიხილავთ — საგაზეთო სტატიის არც მოცულობა და არც სპეციფიურობა ამის საშუალებას არ იძლევა; წარმოვაჩენთ მხოლოდ ძირითად ასპექტებს, — კერძოდ, რამდენად მართებულია ალ. ონიანის მიერ ქართველურ და აფხაზურ ენათა შორის მორფოლოგიური შეხვედრების არსებობის უარყოფა.

პატივცემული მკვლევარი, როგორც ჩანს, იზიარებს ენათმეცნიერებაში გავრცელებულ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ერთი ენის ძლიერი გავლენა სხვა ენაზე ამ უკანასკნელის ლექსიკურ შედგენილობას კი ცვლის, მაგრამ შედარებით ნაკლებად (ან სრულიადაც ვერა) იჭრება ენის გრამატიკულ (მორფოლოგიურ, სინტაქსურ) მექანიზმში. თუ ამგვარ ფაქტებს აქვთ ადგილი, მაშინ ერთი ენის მეორეზე „დაწოლა“ საკმაოდ ძველი და ხანგრძლივი პროცესის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, ალ. ონიანისთვის არსებითი ჩანს ქართველურ ენებში აფხაზურ-ჩერქეზული მორფოლოგიური ელემენტების არსებობის უარყოფა: ამის მერე უკვე იოლია ლექსიკური შეხვედრების ახსნაც.

ალ. ონიანი წერს: „მართალია, თანამედროვე ქართული წა-(წავიდა) ფორმით აფხაზურ ზმნისწინს ჰგავს, მაგრამ ის ამ სახით არ არსებობს ძველ ქართულში (უძველესი წერილობითი ძეგლები, ხანმეტი ტექსტების ჩათვლით), სადაც წარმოდგენილია მისი ამოსავალი ფორმა წარ- (წარ-ვიდა). წარ- ფორმის წა-საგან მომდინარეობის მტკიცება (რაც მისი აფხაზურ ფორმასთან დაკავშირების ინტერესებს ემსახურება) ნაძალადევია, უაღრესად ხელოვნური“...

ნუთუ მართლა ასე მიუღებელია ქართული წარ- ზმნისწინისა და აფხაზური წა-ს ერთიმეორესთან დაკავშირება?

წარ- ზმნისწინში -რ ელემენტის გამოყოფას საფუძვლად უდევს ვარაუდი: წარ — წა-რე. თვით ეს ვარაუდი კი, მისი სიტყვებით, „ემყარება უბრალო ანალოგიებს, კერძოდ, ისეთი ფორმების არსებობას, როგორიც არის ზე-რე (დიალ.), გა-რე“ (იხ. ალ. ონიანის წიგნი — „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“, ნაწ. II, 1989 წ., გვ. 310).

ალ. ონიანი მიიჩნევს, რომ „გარე ფორმაში -რე ელემენტის გამოყოფის საფუძველი, ვფიქრობთ, საერთოდ არ არსებობს... თუ აქ გა- ელემენტი თანამედროვე ქართულიდან ცნობილ (გა-) ზმნისწინად მიიჩნევა, მაშინ ძვ. ქართულში უნდა გვქონოდა არა (გან-) ზმნისწინი,არამედ (გარ-) მსგავსად (წარ-) ფორმისა ...ქართულში არ მოიპოვება (წარე-) ფორმა, ისევე, როგორც არ არსებობს ზერ-, გარ-ფორმები...“ (იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 311).

მოყვანილ მსჯელობაში რამდენიმე უზუსტობაა: თუ არა წინასწარ მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება — უარყოს ყოველივე აფხაზური და ამის დამამტკიცებელი ყველა არგუმენტი, მკვლევარისთვის სრულიად გასაგები და მისაღები უნდა აღმოჩენილიყო საფუძველი, რომელზეც დაყრდნობითაც გა- უსათუოდ უნდა გამოიყოს „გარე“ ფორმაში. გარ- ამ სახით დასტურდება რთული ზმნისწინის — გარდა- შედგენილობაში; გარდა ამისა, ზოგიერთ დიალექტში (მაგალითად იმერულში) გარ- დამოუკიდებლადაც გვხვდება; გვხვდება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა — გარშემო, გარს — სადაც წარმოდგენილია გარ- და არა გარე-... უზუსტობა უზუსტობად იყოს და პატივცემული მკვლევარი. უფრო შორსაც მიდის — მისი სიტყვებით, „სინამდვილეში წა- არის წარ- ფორმისგან მიღებული და არა პირიქით“ (?).

გამოდის, თითქოს არნ. ჩიქობავას, რომელსაც აკრიტიკებს ალ. ონიანი, პირიქით მიაჩნდეს.

აქ აღრეულია ქრონოლოგიურად სხვადასხვა დონის ფაქტები: ჯერ ერთი, არავის (ყოველ შემთხვევაში, არნ. ჩიქობავას) არ უარუყვია თანამედროვე წა- ზმნისწინის წარ-ისგან წარმომავლობის თეზა. ლაპარაკი იყო იმაზე, თვით ეს წარ- საიდანაა მიღებული; მი-, მო-, გა-, შე-, ზე- ელემენტთა ანალოგიის გათვალისწინება რეალურ ფაქტად გვავარაუდებინებს ასევე წა- ელემენტის გამოყოფას წარ-ზმნისწინში...

გაუმართლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ალ. ონიანის განცხადება იმის თაობაზე, რომ „რაც შეეხება მნიშვნელობას... ქართულ და აფხაზურ ზმნისწინებს (ლაპარაკია წარ-, აფხაზ. წა- ზმნისწინებზე — ქ. გ.) აბსოლუტურად არაფერი აქვთ საერთო: აფხაზური წა- ნიშნავს „ქვეშ“, „ქვევით“. არაფერი მსგავსი ქართული ზმნისწინით არ გამოიხატება“.

საზოგადოდ, მკვლევარმა რაიმე თვალსაზრისის გაკრიტიკების შემთხვევაში სრულად უნდა მოიყვანოს არგუმენტები, რომელთაც ემყარება გასაკრიტიკებელი პირი: კონკრეტულ შემთხვევაში ისე გამოდის, თითქოს არნ. ჩიქობავა აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობის მქონე, მხოლოდ ფორმობრივ გარკვეულად მსგავს ორ ზმნისწინს უკავშირებდეს ერთმანეთს. ეს კი ასე არ არის.

საქმე ის გახლავთ, რომ სიტყვებში — „წარწერა“, „წაქცევა“, „წაყრა“, „წამოვიდა“ (წვიმა) — არნ. ჩიქობავა წარ- (წა-) ზმნისწინის თავდაპირველ მნიშვნელობას მიიჩნევს შემონახულად (სემანტიკა „ქვევით“) — ეს ენობრივი ფაქტია და მისი იგნორირება არ შეიძლება (გავიხსენოთ ალ. ონიანის სიტყვები — „სპეციალური განხილვა, ვფიქრობთ, არც არის საჭირო“...). გარდა ამისა, არნ. ჩიქობავას მიერ ყურადღებაა გამახვილებული წარ- ზმნისწინის მეორე მნიშვნელობაზე (არა „აქედან იქით“): „წაშვერილი“, „წააგრძელა“, „წარდგა“; სრულიადაც არ არის „არამეცნიერული“ და უღირსი, რათა მას „სპეციალური განხილვა ესაჭიროებოდეს“ საინტერესო დაკავშირება — „წარ“(— „წარე“) — ჭანური — „წალე“ (შდრ. ქართ. „ზერე“ — ზანური „ჟილე“ — სადაც -რე, -ლე ელემენტების გამოყოფა, თვით ალ. ონიანის აზრითაც, სადაო არ უნდა იყოს).

ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ წარ- ზმნისწინზე; ვფიქრობთ, მკითხველისთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ასე იოლად არ შეიძლება დიდი მეცნიერის დამაჯერებელი, ლოგიკური არგუმენტების ხელაღებით უარყოფა.

რაც შეეხება ნა, ლა, კა, თა ზნისწინებს, რომელთა აფხაზურიდან ნასესხობის შესახებ მსჯელობს არნ. ჩიქობავა (ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ წერილში) — ალ. ონიანი აქაც ხელაღებით უარყოფს ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს; სამაგალითოდ კი მოჰყავს ნ- ელემენტი ჭანურში.

ამ შემთხვევაშიც, თითქოსდა ვინმე დაობდეს ამაზე — ალ. ონიანი განაცხადებს, რომ „აქ დასტურდება, ზმნისწინი, რომელსაც ზმნის უღლების ერთსა და იმავე პარადიგმაში აქვს ორი პოზიციური ვარიანტი — მე- და ნ-.“.

არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მე- წინდებულის ადგილას ყველა ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ... ნ წინდებული არის“; ამდენად, „აღმოჩენა“, რომელიც საგაზეთო წერილიდან ისე ჩანს, თითქოს პატივცემულ ალ. ონიანს გაეკეთებინოს, სინამდვილეში არნ. ჩიქობავას ეკუთვნის.

სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ნ- ელემენტის ნასესხობის მტკიცება.

არნ. ჩიქობავას „ჰაერიდან“ არ აუღია ნ- ელემენტის უცხოური წარმოშობის თეზა: იგი გარკვეულ წანამძღვრებს ემყარებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ მეგრულსა და ჭანურში ნ-ს შემცველი სხვა ზმნისწინებიც გვხვდება (-ნა/ნო- ელემენტი რთული პრევერბის მეორე კომპონენტია): მეგრული: მინო-, მონო-, ენოინო-, ენა, ინა-, გენო-, გინო-, დინო-, ჭანური: მეხა-, გონა-, ოკონა-, გოწონა-... ეს ნო- ნა- უეჭველია, რომ „მე- ზმნისწინთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში“ არ იმყოფება და მის გამოვლენას „ფონოლოგიური ოპოზიცია არ განსაზღვრავს“... ამ საკითხს საერთოდ არ ეხება ალ. ონიანი — ალბათ იმიტომ, რომ უფრო „თვალსაჩინოდ“ წარმოჩინდეს არნ. ჩიქობავას შეხედულების „სიმცდარე“.

ასევე, არ ეხება იგი თო-, კა-, ლა- ელემენტთა წარმომავლობის საკითხს — უბრალოდ, უარყოფს მათ, როგორც ანგარიშში ჩაუთვლელ ფაქტს: „ქართული და მეგრულ-ჭანური ზმნისწინების აფხაზურიდან მომდინარეობის მტკიცება, **როგორც ვნახეთ** (არადა, წა-, ნ- ზმნისწინთა გარდა მას არც ერთი მათგანი არ განუხილავს) მიუღებელია“...

ზანურის ზმნისწინთა სისტემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ი. ასათიანმა. მისი სიტყვებით, ზანურის რთულ ზმნისწინებში „მეორე ელემენტად არის ისეთი მასალა (ლა, წო, კო, ნო...) რომელიც ზანურში დამოუკიდებლად, მარტივი წინდებულების სახით არ დასტურდება; თითოეული რთული წინდებულის მნიშვნელობაში გამოსჭვივის როგორც მისი I ელემენტის, ისე მეორე ელემენტის მნიშვნელობა“ (იხ. ი. ასათიანი, „ზმნისწინი ზანურ ენაში“, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 4[illegible]

არსებობს ამ ფაქტის რეალურობის მაჩვენებელი ზოგადი ასპექტებიც.

ქართულ ენაში ზმნისწინი დაერთვის მხოლოდ დინამიკურ ზმნას; ერთეული გამონაკლისების გარდა (ჰყავს — მიჰყავს, აქვს — მოაქვს, გორავს—დაგორავს) სტატიკურ ზმნასთან ზმნისწინი არ გვხვდება; გარდა ამისა, ქართულსა და სვანურში ზმნისწინი მოქმედების მიმართულებაზე მიუთითებს.

ზანურში განსხვავებული ვითარებაა: ჯერ ერთი, ზმნისწინი სისტემატურად გვხვდება სტატიკურ

ზმნებთანაც („გერე“ — ზე არის; „ეკორე“ — რაიმესთან არის და სხვა მრავალი); მეორეც, მდგომარეობისა და პროცესის გამომხატველ ზმნებთან ზმნისწინი მოქმედების ადგილს ასახავს და არა მიმართულებას.

სხვა ქართველური ენებისთვის უცხო ეს მოვლენა ჩვეულებრივია აფხაზურისათვის; თუ ამ ფაქტს იმასაც დავუმატებთ, რომ ზოგი ელემენტის მასალობრივი და ფუნქციური იგივეობა მეტად სარწმუნოა (იხ. ზემოთ), შეიძლება ითქვას — ქართველურ ენათა აფხაზურთან მჭიდრო ურთიერთობის მტკიცება არცთუ უსაფუძვლოა და მისი ხელაღებით უარყოფა ლინგვისტურ კრიტერიუმზე დაყრდნობით არათუ ასე იოლი, თითქმის შეუძლებელია — ყოველ შემთხვევაში იმ არგუმენტაციითა და მტკიცებებით, რომელნიც ალ. ონიანის წერილშია მოცემული.

ხსენებულ პუბლიკაციაში კიდევ მრავლად არის პროფ. ალ. ონიანის ცალსახად, თითქოსდა დამაჯერებლად საბოლოო გადაწყვეტის პრეტენზიით გამსჭვალული დებულებანი და დასკვნები — მათზე ჩვენ შეგნებულად აღარ გავამახვილებთ ყურადღებას; მხოლოდ ერთი კია გულდასაწყვეტი, რომ პატივცემული მკვლევარი ზოგჯერ მეცნიერისთვის არასაკადრის ხერხებს მიმართავს... მართლაც რომ უადგილოდ გვეჩვენება მისი ქილიკით გამოთქმული სიტყვები: „თუ ასეთ მოლიპულ გზას დავადგებით (ლაპარაკია ს. ჯანაშიას ერთ-ერთ დაკავშირებაზე — „კაკამარი“ — „აკამფსისი“), მაშინ ქარელი შეიძლება მარსელთან დავაკავშიროთ, აგარა — ანკარასთან და ა. შ.“.

შესაძლებელია, მეცნიერი არ ეთანხმებოდეს ადრე გამოთქმულ რაიმე მოსაზრებას, არ იზიარებდეს მას, მაგრამ იგი ვალდებულია პატივი სცეს აწ გარდაცვლილი კოლეგის აზრს და საკითხში გაუთვითცნობიერებელი ხალხის გასაქილიკებელი არ გახადოს იგი... პატივცემულ მკვლევარს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ აკადემიკოსები — არნ. ჩიქობავა და ს. ჯანაშია არ იყვნენ იმ რანგის მეცნიერები, „ქარელი“, რომ „მარსელთან“ დაეკავშირებინათ...

მთავარი ბრალდება, კი, რასაც ალ. ონიანი უყენებს არნ. ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას, ის არის, რომ ქართველი მეცნიერები, როგორ ბედავენ და — ქართველური ტომების მიგრაციის აზრს უჭერენ მხარს!

სამხრეთიდან ქართველური ტომების მიგრაციის ჰიპოთეზაც ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და ამ ბრალდებით ალ. ონიანი დიდი მეცნიერის წინააღმდეგ გამოდის უპირველესად; თუმცა, როგორც ჩანს, შეგნებულად არ არის მოხსენიებული მის წერილში ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი — ყველა ყველა და ივანე ჯავახიშვილის მოღალატეობას, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი ქართველი დაიჯერებდა... .

მართალია, ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება არ არის საყოველთაოდ გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ არც ერთ ისტორიკოსს აზრადაც კი არ მოსვლია დიდი ივანეს აგრერიგად შეურაცხყოფა!

დღეს მავანთა და მავანთათვის მეტად ხელსაყრელი ჩანს ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ურთიერთობისათვის მთლიანად ხაზის გადასმა — ეს პატრიოტობაში ჩაეთვლებათ და ხალხის თანაგრძნობის გარანტიაც ხელთ ექნებათ (ისე წარმოაჩენს საქმის ვითარება!)... ობიექტურობის პრეტენზია ყველას შეიძლება გააჩნდეს, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას მეცნიერული (და არა ძალისმიერი) დაცვა ესაჭიროება, როცა სხვას ვდებთ ბრალად სუბიექტივიზმსა და ტენდენციურობას, საკუთარ გულშიც ჩავიხედოთ — ბატონი ალ. ონიანის წერილი ამ თვალსაზრისით მრავალ კითხვას ბადებს...

მაგრამ ჩვენ არ გვსურს, იგივე მეთოდები გამოვიყენოთ საპირისპირო აზრთან მიმართებით: არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ მოწინააღმდეგის კეთილსინდისიერებაში — მართალსა და მტყუანს მაღლა ღმერთი და დაბლა მკითხველი განსჯის!

კახა გაგუნია,
ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი.

ახალი თარგმანები

კესტუტის ნავაკასი ლიტველი პოეტია. დაინტერესებულია ქართული პოეზიით. უკვე რამოდენიმე წელია ლიტვურ ენაზე თარგმნის და აქვეყნებს ქართველი პოეტების ლექსებს. სულ მალე ლიტველი მკითხველი ჟურნალების „ნემუნას“ და „პოეზია პავასარის“ ფურცლებზე იხილავს ქართველ პოეტთა ვრცელ პუბლიკაციებს.

კესტუტის ნავაკასის ლექსები პირველად ქვეყნდება ქართულად.

ლიტვურიდან თარგმნა
მერი შალვაშვილმა

ლორელეი[1]

მე მეშინოდა დროის, რომელიც, ჩუმად იპყრობდა საათის ისრებს,
და გამოგყევი მართლაც ფეხდაფეხ, ყველა ლამაზი ასულის ჯიბრზე,
მე მეშინოდა ავი ფართობის, რომელიც ხდგა ჩვენს შორის წლობით,
გამოდგა გული დაუქანგავი და არ დაედო ჩემს გრძნობებს ობი.

მე დაგეძებდი სუყველგან, რადგან, ამ განშორებებს ბოლო არ უჩანს,
ქვასავით მკვრივი მოჭქრის სიმღერა, რამაც დამღალა და დამამუნჯა.
თრთოლვით შევეხე გაყინულ კიბეს და სახელურზე ჩამოვსრიალდი,
მე დავინახე ქარის სიკვდილი მთელი ტკივილით, მთელი სიმართლით.

ქარის სიკვდილი იწვა აფრაზე და აიტანა ხომალდი ქრუოლამ,
მივენდე ხომალდს, ნახვის სურვილმა შენსკენ მიბიძგა და გამიყოლა.
გადაიხსნება სულ მალე წყალი, კვლავ მოწყენილი სიმღერა ისმის,
მყიფე ჰაერი ერევა ღრუბლებს, ისევ ვეხვევი დუმილის ნისლში.

კვლავ მოდის წვიმა და მესმის, როგორ ცვდება სურვილი და იმედები,
ვეძებ მეზობლებს დიდი ხანია მივიწყებული პარამეტრებით,
რომელთა შორის ჩემს თავს მოვძებნი და შექებული ვიქნები მათგან,
რომ ჩემს სიყვარულს მარადიული მშვენიერების ნათელი ადგას.

რა მცირე დროა, ჩვენ კი ერთმანეთს, ისევ ვაძინებთ ჰორიზონტებით,
დაძენძილია ფართობის ფსკერი, ცად აღმართულა და მეორდება.
დაწყევლილია ჩემი გერბი და წაგებულია ცხოვრებაც მარცხით,
შენ ხარ კომპასის ისარი ჩემთვის, რომელზეც ქვეყნად ყველაფერს
გაცვლი.

შორეული ახლობელი

კვლავაც გამოჩნდა ეს ქალაქი. ქუჩებში თითქოს
გახუნებული ვეფხვის ტყავი დაუფენიათ,
ტიგელში მღერის გამლვალი დრო და მზერა ითხოვს
ფარდის ჩრდილებზე ნანახ ფილმებს, მკაცრს და ვნებიანს.

წყვდიადში ისევ ჩაეშვება ქალაქი ღამით,
ხელები ეძებს ფრანის სიზმრებს ისევ თავიდან
კვლავ დაკეტავენ სასტუმროებს, გალღვება წამი,
მიდიხარ, გიმზერს გასაღები ჭუჭრუტანიდან.

ვით საიდუმლო შეთანხმების ივსება ხონჩა,
ვერ ეკითხები გზას ვერავის, სევდით ივსები,
ვარსკვლავის შუქზე საუცხოო საღამო მოჩანს:
მოჩანს ცისფერი აქლემებით ოაზისები.

ცად ავარდნილი ფეთქებადი ალებით თურმე,
სახეობათა საუცხოო ჩანს პეტარდები,
არსებობს კიდევ ერთი კარი, სიკვდილის სურნელს,
სადაც თამამად ისრუტავენ სახლის ფარდები.

ამ კარის იქით, მაგიდაზე მოჩანს ყვავილი,
დანა და პური, ძვირფას ჭურჭელს ვერავინ ვერ ცვლის,
ხმა ნაბიჯების ყველა ოთახს როცა დაივლის,
ელვარებს ღვინო, ვით მეომრის საფლავზე ცეცხლი.

ისევ შენდება ეგვიპტეში პირამიდები,
მიცვალებული მეფეების საუფლო ძველი,
და ჩუქურთმოვან სიჩუმეში ცრუ განდიდებით,
შედიხარ კარში სადაც დიდხანს ვილაცა გელის.

ცდილობ რუკაზე ამოშალო ის საძულველი,
შენი ქალაქი, სანამ ღამე ფეხს მოგიცელავს,
სახელურებზე კვლავ შერჩება ნახვის სურნელი,
მაგრამ ვერასდროს შეისწავლი მის ძველ სიმღერას.

---

[1] ლორელეი — ჯადოქარი ქალი გერმანულ მითოლოგიაში, რომელიც ცხოვრობდა წყალში, ხიბლავდა და ღუპავდა მამაკაცებს.

გამგზავრება

ხვალე
მე უკვე მივემგზავრები. ციდან საათის ისრები ცვივა,
ფეხების ქვეშ იწმინდება ის დრო, რომელიც აღარ მჭირდება,
არსებობს მიწა ამ ქვეყანაზე, მთვარის მაღალი ვიტრაჟებით,
სადაც ფერმკრთალი კარები მარტის, ქარმა უგულოდ
გადააწნა ნოემბრის ფანჯრებს.

ხვალე! მე უკვე აქ არ ვიქნები...
გამოფიტულმა წამმა სამუდამოდ დამკარგა თითქოს,
ოთხივე მხრიდან გზა მოჩანს და ჩემს გარშემო
მტვერი ტრიალებს, და შენც აქა ხარ,
ფარშევანგებით, მცენარეებით, თუთიყუშებით.

ღმერთო! ხვალ უკვე მივემგზავრები,
კვლავ ამაღლდა სივრცეში ჩემი მუსიკა,
და ჩემი ძველი ხელნაწერები
უზარმაზარ უფსკრულში ცვივა.

უკიდეგანო არის სამყარო, ჩემი გვარის თანხმოვანი
ასოები იწყებენ ბრწყინვას, მაგრამ არსად ჩანს
ადგილი ჩემი ნივთებისათვის.

მე თანახმა ვარ, თოვლივით დადნეს მოწვევის ნაგლეჯები,
საათმა დასწვას რიჟრაჟით სავსე ჩემი ეზო, სველი ასანთით,
ხვალე... მომძებნე ჩემი უკანასკნელი აკვალანგით,
თვალდახუჭულმა წამიერად გამიხსენე და შემინახე.

უფსკრულთა სიახლოვე

თითების ბოლოებზე ჰკიდია მუსიკა,
როგორ ხარბად სვამს მას კლავიშების თეთრი პირი,
თითის წვერებზე დგას არყოფნა მაღალი საღამოსი.

ორ ნოტს შორისაც იმალება სიცარიელე ფართობისა,
რომელიც უკან არასოდეს არ მოიხედავს,
მასში თავდაღმა მიექანება შენი თვალები.

მე ვიცი ვერცხლის ჩუქურთმებით მორთული კარი,
რომლისგანაც მოჟონავს ჩრდილი — როიალის,
საღამოს ყვითელ უდაბნოში.

ამ გზით შემოვალ მეც მილაშიუს[1] ფრინველებით ხელში,
თან წამოვიღებ რამდენიმე სტრიქონს ყველაზე შორეულ
საქვეზურისთვის,
და წარმოვიდგენ თუ როგორ ჰქნება მიტოვებულ ჩემს ძველ
წიგნებში ბიბლიოთეკის ნაზი სურნელი.

დედამიწა კი მთებით შეავიწროვებს ქვანახშირის და კალის მადანს,
ორ ატომს შორის აღიმართება არყოფნის ფერმკრთალი ჰერალდიკა
და გაიხსნება სივრცე, რომელსაც არ გააჩნია მთვარის შუქის
მშვენიერება.

ბერგმა[1] დატოვა ნოტებს შორის ფანჯარა ღია,
მაგრამ ქვიშანი არა გრძნობენ სიცარიელეს.
მე ჩამოვდივარ კლავიშებზე და შენ შეიგრძნობ ჩემს იდუმალ
მოახლოებას,
მომაცილებ მოწიწებით „ფა“-დან დაწყებულ ყველა ბგერას და

საქვეზურის ზომის საღამო შეშფოთდება, რადგან ფრინველებს
დაუცვივდებათ ხორბლის მარცვლები...

---

[1] ბერგი — მეოცე საუკუნის გერმანელი კომპოზიტორი.

პროექტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკლარაცია

8 თებერვალს, თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღეს, სააქტო დარბაზში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, მიიღეს უნივერსიტეტის ავტონომიის დეკლარაციის პროექტი, გთავაზობთ ამ პროექტს...

დღეს, როდესაც საქართველო მიზნად ისახავს ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო, როდესაც დადგა ჟამი, განვითარების საკუთარი გზის არჩევისა და თვითყოფადობის განმტკიცებისა, უნივერსიტეტი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო, როგორც ერის გონებისა და ზნეობის კერა, უნდა ემსახურებოდეს არა მარტო განსწავლული მეცნიერ-სპეციალისტის, არამედ კაცთმოყვარე, თავისუფლად მოაზროვნე პიროვნების აღზრდას.

რადგან ფაქტია, რომ უნივერსიტეტი ამჟამად სრულად ვერ წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს ქვეყნის წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთადერთი გამოსავალი მისი ავტონომიურობის აღდგენაა.

ამიტომ დღეს, 1990 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით 26 იანვარს) წმინდა კეთილმსახური მეფის — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, უნივერსიტეტის გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს, უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიისა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს

ავტონომიას

რაც მოიცავს შემდეგ უფლებებს:

თავად უნივერსიტეტისა და მისი მმართველობის სტრუქტურის ცვლილება.

მმართველი ორგანოების არჩევა-დამტკიცება,

— სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება-დამტკიცება,

— ახალი სპეციალობების შემოღება და ძველის გაუქმება.

— სწავლების ყოველნაირი შესაძლებელი ფორმის შემოღება-გაუქმება.

— სამეცნიერო პედაგოგიური წოდებებისა და ხარისხების მინიჭება.

— საკუთარი საკადრო, საგარეო, სოციალ-ეკონომიკური და სამეურნეო პოლიტიკის გატარება მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციის, დაფინანსება უნდა ხდებოდეს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში მისთვის ცალკე (საგანგებოდ) გამოყოფილი მუხლის საფუძველზე.

სახელმწიფო იტვირთავს უნივერსიტეტის მატერიალურ უზრუნველყოფას მის კომპეტენციაში ჩარევის გარეშე.

უნივერსიტეტი ვალდებულია აღუზარდოს ქვეყანას განათლებული, მაღალზნეობრივი თაობა — მეცნიერები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები; აიყვანოს ქართული მეცნიერება თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე მეცნიერების დონეზე.

ის მოვლენები, რაც ბოლო ხანებში მოხდა ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში, საყოველთაო შეშფოთებისა და განსჯის საგნად იქცა. შეიძლება ითქვას, ეს ფაქტიურად სამოქალაქო ომის ტოლფასი იყო. ომში კი, სამწუხაროდ, როგორც წესი არავინ არჩევს ჩინიანსა და უჩინოს, ვინმეს დამსახურებას. საკავშირო სპორტული პრესის მიხედვით ცნობილი გახდა ის დამოკიდებულება, რის გამოც ცოტა არ იყოს, მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი და მისი ოჯახი ლამის არ ემსხვერპლა თავაშვებული ბრბოს მოქმედებას. როგორც იტყვიან, თვითმფრინავმა სულზე მოუსწრო დევნილთ...

პირველ ხანებში მსოფლიოს ჩემპიონი თავს იკავებდა მომხდარზე ყოველგვარი კომენტარისაგან, შემდეგ, როგორც ცნობილი გახდა, გარი კასპაროვი — დათანხმდა პრესკონფერენციაზე. იგი ჩატარდა მოსკოვში.

სიმართლე ითქვას, პრესკონფერენციის ანგარიშში ბევრი რამ მაინც ბუნდოვანი იყო და ამიტომაც, გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით ცნობილ ქართველ მოჭადრაკეს საერთაშორისო დიდოსტატს **ზურაბ აზმაიფარაშვილს**, რომელიც, როგორც იცით, გარი კასპაროვის ერთ-ერთი მწვრთნელია.

მსოფლიო ჩემპიონის იძულებითი ევაკუაცია

— მართალია, საკავშირო სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია მსოფლიოს ჩემპიონის იძულებითი ევაკუაციის შესახებ. მაგრამ თქვენ, როგორც კასპაროვის ერთ-ერთ მწვრთნელს, ალბათ, მეტის თქმა შეგიძლიათ...

— პრესაში უკვე ითქვა იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მსოფლიოს ჩემპიონს მომხდარისადმი. ის ახლაც ტრაგიკულ მოვლენად აფასებს იმ ამბებს... იმხანად მე თბილისში არ ვიყავი. ჩამოვედი იანვრის შუა რიცხვებში. ვცადე დავკავშირებოდი გარის ბაქოში, მაგრამ ამაოდ. მაშინ დავრეკე მოსკოვში გარის საქმეთა მწარმოებელთან. ჩვენ შეკრება უნდა გვქონოდა 18 იანვრიდან. მოსკოვში მითხრეს, რომ შეკრება არ ჩატარდებოდა. მითხრეს ისიც, რომ გარის უნდოდა თვითმფრინავის დაქირავება... მერე მოვლენები სწრაფად განვითარდა. მსოფლიოს ჩემპიონს მართლა მოუხდა თვითმფრინავის დაქირავება, მან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად კიდევ საკუთარი ხარჯებით 48 კაცი წაიყვანა მოსკოვში. იქ ისინი იზმაილოვოს სასტუმრო კომპლექსში დააბინავა. მერე კი მაშინათვე დაიწყო ზრუნვა მათი საბინაო და შრომითი პრობლემების მოსაგვარებლად. მე რამდენჯერმე ველაპარაკე გარის დედას, ქალბატონ კლარას, მან მითხრა, რომ გარი ახლა მთელ დროს ლტოლვილთა ყოფითი პრობლემების მოგვარებას ახმარს...

— ხომ არ ჰქონდა დაგეგმილი მსოფლიოს ჩემპიონს რომელიმე დიდ ტურნირში თამაში?

— დიახ, ახლა მას ლინარესის სუპერტურნირში უნდა ეთამაშა. აქ მას ძალიან დიდ თანხას სთავაზობდნენ მარტო მონაწილეობისათვის, შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა პირველ პრიზს დაამატეს იაპონური „ნისანის“ ფირმის სანადირო მანქანა. ეს ტურნირი თებერვლის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც კასპაროვმა შეკრება არ ჩაატარა, ის, ალბათ, უკვე არ ითამაშებს ამ ტურნირში.

— კასპაროვმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტისთვის“ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქვა სურვილი შუამავლობის შესახებ, თქვენ ხომ არ დაამატებდით რამეს ამ ინფორმაციას?

— მე ის ვიცი, რომ გარი მოსკოვში ეძებს სათანადო კომპეტენციის ხალხს ორივე როგორც აზერბაიჯანის, ასევე სომხეთის მხრიდან. მანამდე კი გარი აუცილებლად თვლის ქალაქიდან ჯარების გამოყვანას. მიაჩნია, რომ ჯარი ბაქოში დაგვიანებით შევიდა და მისი იქ ყოფნით კიდევ უფრო დაიძაბება სიტუაცია.

— მსოფლიოს ჩემპიონმა მართალია გაასწრო ბაქოდან, მაგრამ მას იქ დარჩა ბინა, მანქანა... საინტერესოა, ხომ არ გაუძარცვავთ მისი ბინა?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ დაარბიეს და გაძარცვეს კასპაროვის ერთ-ერთი მწვრთნელის ბინა, გარის ნათესაობიდან ერთიც უკვალოდ გაქრა...

— ჩვენი დიალოგის მიზეზი ძირითადში მსოფლიოს ჩემპიონის იძულებითი ევაკუაცია იყო, მაგრამ შეუძლებელია კასპაროვის მწვრთნელს არ ჰკითხო — თუ ვის თვლის ის ჩემპიონის მეტოქედ და კიდევ, აპირებს თუ არა ჩემპიონის ბანაკში ყოფნას მომავალ მატჩშიც?

— მე ვფიქრობ, რომ გარის მეტოქე ისევ ანატოლი კარპოვი იქნება. რაც შეეხება, ჩემპიონისთვის ჩემს დახმარებას, ეს კვლავინდებურად ასე იქნება. მე ვთვლი, რომ გარიმ კიდევ ერთხელ და შეიძლება საბოლოოდაც, დაამარცხოს კარპოვი, ეს საჭიროა?

— რატომ ასე გამეტებით?

— მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ჭადრაკში პროგრესს საბოლოოდ გაეხსნება გზა...

— გასაგებია, მოდით ახლა თქვენს შემოქმედებით გეგმებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

— რამდენიმე დღეში. ალბათ ვითამაშებ საკავშირო ზონალურ ტურნირში. შემდეგ ისლანდიაში მელოდება მე-13-14 კატეგორიის ტურნირი, მარტში თბილისში გოგლიძის ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში ვითამაშებ, მერე ბელგრადსა და ავსტრალიაში მელის შეჯიბრებები. ივლისის ბოლოს კი ამსტერდამში ვითამაშებ ძალიან ძლიერი მე-15 კატეგორიის ტურნირში. ძირითადად ესაა დანარჩენი მერე ვნახოთ...

●

ეს დიალოგი რამდენიმე დღის წინათ იქნა ჩაწერილი. ჩვენ აქ არაფერი გვითქვია იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატის ზურაბ აზმაიფარაშვილის რეიტინგმა 2610 ერთეულს მიაღწია. არც იმაზე გვისაუბრია, თუ რა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია მან ბოლო ხანებში. ყველაფერი ეს ცალკე, ვრცელი ინტერვიუს თემაა და ამაზე ახლო მომავალში გვექნება კიდევ საუბარი.

ოთხი მატჩი

გადაჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს საკავშირო ჩემპიონატში ძალზე რთული ფინიში ელის. თავად განსაჯეთ გუნდს სათამაშო დარჩა გასვლითი მატჩები ცსკა-სთან, „ბუდიველნიკთან“, ალმა-ათის სკასთან და თავის უშუალო კონკურენტებთან ლენინგრადის „სპარტაკთან“ და დონეცკის „შახტიორთან“. თუ ლიდერთა კომპრომისულმა განწყობილებამ არ გვიშველა, თქმა არ უნდა, ამ მატჩებში ქულის აღება ძალზე გაძნელდება. შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს“ არც საკუთარ მოედანზე აქვს იოლი მატჩები და ქულათა მაქსიმუმის აღება, ვვარაუდობთ, რომ აქაც ძნელი იქნება — რტი, ვეფი, „ქალგირისი“, არადა გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს და მის წინაშე მთელი სიმწვავით დგას ყოფნა არყოფნის საკითხი.

ვისთან უნდა აელო თბილისის „დინამოს“ ქულათა მაქსიმუმი თუ არა მინსკის რტი-სთან საკუთარ მოედანზე. რტი შესამჩნევად გაახალგაზრდავებულია. გუნდიდან სხვადასხვა მიზეზების გამო წავიდნენ ის კალათბურთელები, რომლებიც ბოლო წლებში განსაზღვრავდნენ მის სათამაშო ხელწერას: იაკუბენკო, პარფეანოვიჩი, პუსტოგვარი, სლონევსკი, ოსტრონოსოვი, სატიროვი. პირველი მატჩი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა რაც, უპირველეს ყოვლისა, ანდრეი ტიუბინის (39 ქულა) ბრწყინვალე თამაშით აიხსნება. იგი ამ მატჩის ნამდვილი გმირი იყო. მინსკელთა ცდას გარდატეხა შეეტანათ თამაშში ტიუბინის სნაიპერული სროლების წყალობით შედეგი არ მოჰყოლია. 80:72 გაიმარჯვა „დინამომ“.

მეორე მატჩში „დინამოს“ ხელმძღვანელობამ თამამ ექსპერიმენტს მიმართა და შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელებს ალღომ არ უღალატა. გია სანაძე, რომელმაც სასტარტო ხუთეულში შეცვალა ანდრეი ტიუბინი, პირველი ტაიმის მთავარ მოქმედ პირად მოგვევლინა. სწორედ მისი სნაიპერული სროლების შედეგად „დინამო“ მატჩის პირველი წუთებიდანვე დაეუფლა ინიციატივას და ტაიმი მოიგო — 53:41. მაგრამ მეორე ტაიმში „დინამომ“ ყურადღება მოადუნა და სტუმრებმა გაათანაბრეს თამაში. ჩვენი აზრით, მატჩში გარდატეხა განაპირობა ორმა ფაქტმა. მაშინ როდესაც ანგარიში იყო 62:61 „დინამოს“ სასარგებლოდ, მორიგი პერსონალური მიიღო კახა შენგელიამ და იქვე მსაჯებმა ტექნიკური შენიშვნა მისცეს მინსკელთა ყველაზე შედეგიან მოთამაშეს გრიშუკს (21 ქულა), რომელიც მისთვის მეხუთე აღმოჩნდა. (ამ შემთხვევაში გრიშუკის მოქმედება ალოგიკური იყო). ამას მოყვა სანაძის და ტიუბინის სამქულიანი სროლების სერია და მასპინძლები კვლავ 10 ქულით გავიდნენ წინ. მინსკელებმა ისღა მოახერხეს, რომ შეამცირეს სხვაობა. 83:78 გაიმარჯვა „დინამომ“. მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო გია სანაძე (30 ქულა).

პირველი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და რიგის ვეფს შორის სტუმრების უპირატესობით წარიმართა. სტუმრების უპირატესობა სათამაშო კლასში აშკარა იყო — 91:86 გაიმარჯვა ვეფმა. განმეორებით მატჩში მასპინძლებმა შესძლეს რევანშის აღება — 92:84.

მერაბ კალანდაძე

ანონსი

8 თებერვალს საქართველოში უაღრესად სასიხარულო ცნობა მოვიდა: **საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია ევროპის ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა!**

ტელეფაქსით მიღებულ ამ ინფორმაციას ხელს აწერს ევროპის ტრადიციული კარატეს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ვლადიმერ იორგა.

ამიერიდან, ევროპის ჩემპიონატებზე კარეტაში სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მსგავსად საქართველოც წარადგენს თავის ეროვნულ ნაკრებს.

გაზეთის შემდეგ ნომერში გთავაზობთ საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, საქართველოს შოტოკან კარატეს ასოციაციის პრეზიდენტის **ზურაბ მერაბიშვილისა** და ჟურნალისტ **ლაშა ნადარეიშვილის** საუბარს —

კარატე:
პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ!

კვლავ „მრეტები“?

წელს, პირველად მიაშურა თბილისელმა მაყურებელმა სპორტის სასახლეს, სადაც მეტად საინტერესო ტურნირი ტარდებოდა. ტურნირში რომლის ორგანიზატორებიც არიან საქართველოს სპორტსახკომთან არსებული მინი-ფეხბურთის კლუბი „მრეტები“ და სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო რესპუბლიკურ ფონდთან არსებული გაერთიანება „ორბი“, სულ 6 გუნდი იღებს მონაწილეობას: ლანჩხუთის „გურია“, ბათუმის „დინამო“, ქუთაისის„ ქუთაისი“, წყალტუბოს „შადრევანი“, პოლონეთის „გ. ქ. ს.“ და თბილისის „მრეტები“.

შეჯიბრების პირველ დღეს ასპარეზი თავდაპირველად ბათუმის „დინამოს“ და წყალტუბოს „შადრევანს“ დაეთმო. ბათუმელთა რიგებში შარშანდელთან შედარებით ორი ახალი ფეხბურთელი ვიხილეთ: გამოცდილი მეკარე იური მამინაშვილი და დიმიტრი კუდინოვი. ამ უკანასკნელს ორ წელზე მეტია დიდი ფეხბურთი არ უთამაშია და ამდენად საინტერესო იყო მისი ხილვა. სიმბოლურიცაა, რომ ამ თამაშის და საერთოდ ტურნირზე პირველი გატანილი გოლის ავტორი დიმიტრი კუდინოვი გახლავთ. სულ მალე ბათუმელთა ლიდერმა მალხაზ მახარაძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. ბათუმელთა რიგებში როგორც ყოველთვის თავისი დახვეწილი ტექნიკით და პასის კულტურით გამოირჩეოდა მალხაზ მახარაძე, შეტევაში კი მელორ ბიგვავას შეჩერება შეუძლებელი იყო. — 4:1 ასეთი იყო ამ მატჩის საბოლოო ანგარიში. ამის შემდეგ კი მოედანზე ტურნირის მასპინძლები — „მრეტები“ და მოწვეული სტუმრები—კატოვიცელი ფეხბურთელები გამოვიდნენ.

ამ მატჩის მეორე ტაიმის შუა მონაკვეთში, ერთი წუთის ინტერვალში მეტოქეებმა ერთმანეთს გოლებით უპასუხეს: ჯერ თბილისელთა კაპიტანმა ბუბა ტყავაძემ გახსნა ანგარიში, შემდეგ კი პოლონელმა ქშიშტოფ ვალჩეკმა ანგარიში გაათანაბრა. მესამე ტაიმის მიწურულს კი რაზაკოვსკიმ უძლიერესი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი, რითაც მასპინძლები წაგების საშიშროების წინაშე დააყენა. მე-4 ტაიმიც ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ თანდათან იკვეთებოდა „მრეტების“ უპირატესობა და მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ნიკუშა დოლიძე ათანაბრებს ანგარიშს — 2:2.

შეჯიბრების მეორე დღის და ალბათ, ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო ლანჩხუთის „გურიისა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ლანჩხუთელებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, ასე რომ ყველასათვის მოულოდნელი იყო მეშვიდე წუთზე ბათუმელთა კაპიტნის ტარიელ დურდიაძის გატანილი გოლი, როდესაც მან კარგად ისარგებლა „გურიის“ მცველების და მეკარე ავთანდილ ქანთარიას შეცდომის გამო. წინდაწინ უნდა ითქვას რომ ლანჩხუთელთა ამ გამოცდილმა მეკარემ ეს შეხვედრა თავის შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარა. დეტალურად ამ მატჩის აღწერას არ შევუდგები, საბოლოო შედეგი კი 6:4 იყო ბათუმელთა სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს მამუკა აფციაურის მიერ გატანილი მეტად ეფექტური გოლი, როდესაც მან ქუსლით გადაგზავნა ბურთი მეტოქეთა შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ უდაოდ ნიჭიერ და ტექნიკურ მოთამაშეს მეტის თავშეკავება მართებს თამაშის დროს...

...სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი აღტაცებას ვერ ფარავდა ქუთაისელთა მეკარე რეზო ჭოლაძის თამაშის გამო. პირველი ტაიმის მიწურულს ნიკუშა დოლიძემ მაინც მოახერხა ანგარიშის გახსნა და... საბოლოო ანგარიში, არავის უნდა აკვირვებდეს — 9:1. ეს ალბათ ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დამარცხებულთა გუნდის მეკარეს, რომელმაც ცხრა ბურთი გაუშვა, ტაშით აცილებენ. ისევე, როგორც „მრეტების“ კაპიტანს ბუბა ტყავაძეს, რომელმაც 6 (!) ბურთი გაიტანა, დანარჩენი 3 კი მისმა პარტნიორმა თავდასხმაში ნიკუშა დოლიძემ. ერთადერთი ბურთის ავტორი ქუთაისელთა მხრიდან იყო ზაზა ვაჩაბერიძე.

მაშ ასე, მესამე ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდებიან პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი „გ. ქ. ს.“ (კატოვიცე) და „გურია“ ლანჩხუთი, ხოლო პირველი ადგილისათვის გამართავენ პაექრობას ბათუმის „დინამო“ და „მრეტები“. ამ მატჩების შესახებ კი ჩვენს მომავალ რეპორტაჟში...

გია ტუხაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტოები.

ყურადღება!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები 1990/91 სასწავლო წელს ჩატარდება იმ საგნებში, როგორც ამას ვიუწყებოდით გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1989 წლის 7 ოქტომბრის ნომერში, შემდეგი თანმიმდევრობით: ბიოლოგია (წერა) — მაპროფილებელი, ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა) და ქიმია (წერა).

მიმღები კომისია

რედაქტორის მოადგილე
გიგლა გოგეჩია

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსზე, სოფარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
უე 00148